

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სტუდენტთა ჟურნალი სოციალურ მეცნიერებებში

Student Journal of Social Sciences

№11, თებერვალი

ელექტრონული სტუდენტური სამეცნიერო ჟურნალი

2020

E ISSN: 2449-3066

სარედაქციო კოლეგია:

ვალერიან მელიქიძე – სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე, ასოცირებული პროფესორი,
საზოგადოებრივი გეოგრაფია

გიორგი კვინიკაძე – ასოცირებული პროფესორი, საზოგადოებრივი გეოგრაფია

მარინა ბურძენიძე – ასოცირებული პროფესორი, სოციოლოგია და სოციალური მუშაობა
სალომე ნამიჭივილი – ასისტენტ-პროფესორი, სოციოლოგია და სოციალური მუშაობა

ნანული ტალახაძე – ასოცირებული პროფესორი, ჟურნალისტიკა და მასკომუნიკაცია
მანანა შამილიშვილი – ასოცირებული პროფესორი, ჟურნალისტიკა და მასკომუნიკაცია

სალომე დუნდუა – ასოცირებული პროფესორი, პოლიტიკის მეცნიერება

ავთანდილ ტუკვაძე – ასისტენტ-პროფესორი, პოლიტიკის მეცნიერება

ფიქრია ასანიშვილი – ასოცირებული პროფესორი, საერთაშორისო ურთიერთობები

დავით მაცაბერიძე – ასისტენტ-პროფესორი, საერთაშორისო ურთიერთობები

თეონა მატარაძე – ასოცირებული პროფესორი, ინტერდისციპლინური დეპარტამენტი

ტექნიკური ჯგუფი:

თეონა თაბუაშვილი, ოთარ კობახიძე

ს ა რ ზ ე ვ ი

1. ლიანა მარქარიანი.

ყალბი ინფორმაცია სოციალურ მედიაში (ქართული და სომხური მედიის
მაგალითებზე)-----1

2. მარიამ ფრანგიშვილი, სოფიკო ტაბატაძე.

საერთაშორისო კონფლიქტების გაშუქება ქართულ მედიასივრცეში თურქეთისა და
სირიელი ქურთების მაგალითზე-----30



ყალბი ინფორმაცია სოციალურ მედიაში (ქართული და სომხური მედიის მაგალითებზე)

ლიანა მარქარიანი

მედიაფსიქოლოგიისა და კომუნიკაციების სამაგისტრო პროგრამა
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: liana.markaryan.96@gmail.com

აბსტრაქტი

ტექნოლოგიურმა ცვლილებებმა და განვითარებამ ყალბი ინფორმაციის (ე.წ. Fake News) აქტიურ გავრცელებას ჩაუყარა საფუძველი, რის გამოც მედიის მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის პრეცედენტი გაიზარდა. ეს ფაქტორი განსაკუთრებით უარყოფითად მოქმედებს იმ შემთხვევაში, როცა ყალბი ინფორმაცია ეხება ქვეყნებს შორის ურთიერთობასა და ეთნიკურ უმცირესობებს. ამ შემთხვევაში, ჩვენ დავაკვირდით ქართულ და სომხურ სოციალურ მედიაში გამოქვეყნებულ ინფორმაციებს და მათ სანდოობას.

კვლევის მიზანია ყალბი ინფორმაციის გავრცელების მიზეზებისა და მანიპულატორების დემონსტრაცია, კერძოდ, იმის გარკვევა თუ საკვლევ პერიოდში რა სიხშირით ვრცელდება ყალბი ინფორმაცია სომხეთისა და სომხური ეთნოსის შესახებ ქართულ სოციალურ მედიაში, ხოლო საქართველოს შესახებ – სომხურში; აქვს თუ არა ყალბი ინფორმაციის გავრცელებას წინაპირობა, რომელიც კონკრეტულ დროში მისი გავრცელების ინტენსივობას იწვევს; რომელი თემატიკა მოიცავს ყველაზე ხშირად გაყალბებულ ინფორმაციას; სოციალური მედიის მომხმარებლის რომელი ასაკობრივი კატეგორია აზიარებს ყველაზე ხშირად გაყალბებულ ინფორმაციას და რა მიზანი აქვს საქართველოში სომხეთის, ხოლო სომხეთში – საქართველოს შესახებ გაყალბებული ინფორმაციის გავრცელებას.

ამ კვლევაზე მორგებული საკვლევი მეთოდების შედეგების შეჯამებით დავასკვნით, რომ სოციალურ მედიაში ყალბი ინფორმაცია გამიზნულად ვრცელდება მანიპულაციის, პროპაგანდისა და მკითხველის (მოწონებებისა და გაზიარებების გაზრდის) მოზიდვის მიზნით.

საკვანძო სიტყვები: ყალბი ინფორმაცია (Fake News), სომხეთი, საქართველო, სოციალური მედია.

შესავალი

თანამედროვე ტექნოლოგიებმა მნიშვნელოვნად გაამარტივა ინფორმაციის მოპოვება და გავრცელება, რამაც მედია უფრო მრავალფეროვანი და პლურალისტური გახადა, თუმცა, ეს შესაძლებლობა ყოველთვის დადებითი მიზნებით არ გამოიყენება. ტექნოლოგიურმა ცვლილებებმა და განვითარებამ ყალბი ინფორმაციის (ე.წ. Fake News) აქტიურ გავრცელებას ჩაუყარა საფუძველი, რის გამოც მედიის მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის პრეცედენტი გაიზარდა.

„Reporters Without borders“-ის მსოფლიო მედიის თავისუფლების 2018 წლის კვლევის მიხედვით (2018 Word Press freedom), საქართველო 27,34 ქულით 61-ე ადგილზე იმყოფება (180-დან), სომხეთი კი 29,99 ქულით 80-ე ადგილს იკავებს. „Freedom House“-ის 2019 წლის ანგარიშის მიხედვით კი, საქართველოს 100-დან 63 ქულა მიენიჭა, სომხეთს - 51. აღნიშნული კვლევები ცხადყოფს, რომ ამ ორ ქვეყანაში მედიაგარემო ყალბი ინფორმაციის, მანიპულაციებისა და პროპაგანდისგან დაცული არ არის. ხოლო საზოგადოება ხშირად მოტყუებული რჩება და, ყალბი ინფორმაციის გავლენით, ხშირად, დისკრიმინაციულ და ქსენოფობიურ განცხადებებს აკეთებს.

კვლევის აქტუალობა მდგომარეობს სწორედ იმაში, რომ ყალბი ინფორმაციის ეპოქაში საქართველოსა და სომხეთისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია გადამოწმებული ინფორმაციის გავრცელება, რაც შეამცირებს ყალბი ინფორმაციის ნეგატიურ ზეგავლენას ქართულ და სომხურ აუდიტორიაზე.

ცნება „Fake News“ წლებია არსებობს. მასზე, საკითხის მნიშვნელობისა და აქტუალობის გამო, ბევრი სამეცნიერო ნაშრომი თუ ანალიტიკური სტატია შეიქმნა, მაგრამ, აღნიშნული საკითხი ამ კონკრეტული კუთხით – სომხეთი საქართველოს სოციალური მედიის სარკეში და საქართველო - სომხეთის, ჯერ არ შესწავლილა. კვლევა მომავალში ყალბი ინფორმაციის გავრცელების მიზეზების ამოსაცნობად და სოციალური მედიის ხარისხის დასახვეწად მნიშვნელოვან შედეგებზე გაგვიყვანს.

კვლევის პროცესში დავაკვირდით სოციალურ ქსელში, კერძოდ კი „Facebook“-ში, გამოქვეყნებულ გაყალბებულ 30 ინფორმაციას, რომელთა ანალიზის შემდეგ შევისწავლეთ შესაბამისი პირველწყაროები - ქართულენოვანი: „Time News“, „Info9“, „კავკაზპლიუსი“, „MaestroTV“ და სომხურენოვანი: „Asekose“, „Mamul.am“, „Lragir.am“, „Tert.am“, „Грузия и Армения“ ვებსაიტ-გვერდები. პორტალები შეირჩა, როგორც გამომწერთა დიდი რაოდენობის მქონე ონლაინგამოცემები, რომელთა პუბლიკაციები, და განსაკუთრებით, ყალბი ინფორმაცია ყველაზე მეტად ვრცელდება სოციალურ მედიაში. საკვლევ პერიოდად განისაზღვრა 2018-19 წლების დეკემბერი-ივნისი.

კვლევის ჰიპოთეზის მიხედვით სოციალურ მედიაში ყალბი ინფორმაცია გამიზნულად ვრცელდება მანიპულაციის, პროპაგანდისა და მკითხველის (მოწონებებისა და გაზიარებების გაზრდის) მოზიდვის მიზნით.

ლიტერატურის მიმოხილვა

ყალბი ინფორმაცია და დეზინფორმაცია არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვის დიდი გამოწვევაა. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყალბი ინფორმაცია (Fake News) პროპაგანდის შემადგენელი ნაწილია. ევ მაკდონალდი აღნიშნავს, რომ ტერმინი „Fake news“ ახალი არ არის. მისი „ძალა“ პირველად 125 წლის წინ გამოიყენეს. ძველ რომში მარკუს ანტონიუსის და ოქტავიანე ავგუსტუსის კონფლიქტი ცრუ ინფორმაციის გავრცელებით დაიწყო. ოქტავიანე ავგუსტუსის მიერ საზოგადოებრივი აზრის მანიპულირება ყალბი ინფორმაციის ისტორიიდან მხოლოდ ერთი მაგალითია. ასეთი უამრავი მაგალითი არსებობს, როდესაც დეზინფორმაციას სავალალო და დამღუპველი შედეგი მოჰყვება.

მეცნიერები მიიჩნევენ, რომ ყალბი ინფორმაცია არ არის ფაქტებზე აგებული, თუმცა მას მკითხველს ფაქტის სახით აწვდიან (ალკოტი და გენტკოვი (Allcott & Gentzkow), 2017, გვ. 214). ამ დროს სხვა მკვლევართა ჯგუფი ამტკიცებს, რომ ეს არის გადამოწმებადი ფაქტების „მიქსი“ (ბენკლერი და სხვები (Benkler et al.), 2017, გვ.3).

ყალბი ინფორმაციის რამდენიმე სახეობა არსებობს და მათ განსხვავებული მიზნები აქვს. ვარდლი ყალბი ინფორმაციის შვიდ სახეობას გამოყოფს:

1. სატირა ან პაროდია: მიზნად არ ისახავს ზიანს, თუმცა აქვს ამის პოტენციალი;
2. ცრუ კავშირი: სათაური ან ფოტო შინაარსს არ შეესაბამება;
3. შეცდომაში შემყვანი შინაარსი: არსებობს გარკვეული ქვეტექსტი;
4. ცრუ კონტექსტი: კონკრეტული ინფორმაცია სხვა კონტექსტის მასალასთან ერთად ზიარდება;
5. ცრუ კონტენტი: წყარო არის ცრუ ან არალეგალური;
6. მანიპულაციური კონტენტი;
7. ხელოვნურად შექმნილი კონტენტი: აშკარა ცრუ ინფორმაცია (ვარდლი (Wardle), 2017).

თუმცა, უოტსონი ამტკიცებს, რომ ყალბი ინფორმაციის ნაწილი ან/და ერთ-ერთი სახე სატირა და იუმორი ვერ იქნება. ეს ის შემთხვევაა, როდესაც მსმენელმა/მაცურებელმა წინასწარ იცის, რომ პროდუქტი, რომელსაც ეცნობა, პაროდია ან სატირაა (უოტსონი(Watson), 2018, გვ. 94).

მკვლევრები მიიჩნევენ, რომ ყალბი ინფორმაციის გავრცელებით მედიამ, შესაძლოა, კონფლიქტს ჩაუყაროს საფუძველი. დეზინფორმაცია მარტივად იწვევს საზოგადოების რასისტულ და არატოლერანტულ ქმედებებს, ნერგავს სიძულვილის ენას და ქსენოფობიას (კირსი და სანტორო (Cerese & Santoro), 2018, გვ. 340).

ჩესნი და ციტრონი წერენ, რომ ყალბ ინფორმაციას შეუძლია დემოკრატიის დანგრევაც პირდაპირი ან ირიბი გზებით (ჩესნი და ციტრონი (Chesney & Citron), 2019). ამ მოსაზრებას ეთანხმება კლინტ უოტსი და ამტკიცებს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს რუსეთის პროპაგანდის, მანიპულაციების და დეზინფორმაციის მიზეზი სწორედ ეს იყო (უოტსი (Watts), 2018, გვ. 246).

ავტორთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ყალბი ინფორმაციისგან დაცვის ახალი მექანიზმია საჭირო. ისინი თვლიან, რომ მკაცრი სარეგისტრაციო ფორმა და მოთხოვნებია აუცილებელი, რომელიც მინიმალურ დონეზე მაინც გააკონტროლებს კონტენტს (ლასერი და სხვები (Lazer et al.), 2018, გვ. 1096).

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევისთვის გამოყენებულია რაოდენობრივი და თვისებრივი კონტენტ-ანალიზი, ასევე თვისებრივი კვლევის ფორმები – ჩაღრმავებული ინტერვიუ, რომელიც მედიაექსპერტებთან (ორ სომეხ, ორ ქართველ და ერთ საერთაშორისო/დამოუკიდებელ ექსპერტებთან) ჩატარდა და ფოკუს-ჯგუფი (ჩატარდა როგორც სომხეთში, ისე საქართველოში).

რაოდენობრივი კონტენტ-ანალიზით გავარკვიეთ, რამდენი ყალბი ინფორმაცია გავრცელდა საკვლევ პერიოდში ქართული და სომხური სოციალური მედიის მეშვეობით და ყალბი ინფორმაციის რომელ ფორმას იყენებენ ყველაზე ხშირად სოციალურ მედიაში; ხოლო, იმ თემების განსაზღვრაში, რომლებიც ყველაზე მეტად ყალბდება, თვისებრივი კონტენტ-ანალიზი დაგვხმარა.

კვლევის დროს მიღებული მონაცემების დასადასტურებლად და დასკვნების გასაძლიერებლად გამოვიყენეთ თვისებრივი კვლევის ფორმა – ჩაღრმავებული ინტერვიუ, რომელიც მედიაექსპერტებთან, ყალბი ინფორმაციის შესწავლითა და ფაქტების გადამოწმებით (FACTCHECK) დაინტერესებულ ჟურნალისტებთან და მკვლევრებთან ჩატარდა. კვლევისთვის შეირჩა ერთი საერთაშორისო ორგანიზაციის ექსპერტი, ორი ექსპერტი საქართველოდან და ორი – სომხეთიდან. კვლევის ეს მეთოდი მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოპოვების საშუალებას გვაძლევს, რაც ექსპერტების პირადი გამოცდილებით არის განპირობებული. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ექსპერტებმა გაგვიზიარეს თავიანთი დაკვირვებები, რამაც გაამტკიცა რაოდენობრივი და თვისებრივი კონტენტ-ანალიზით მიღებული შედეგები.

ჩვენი კვლევისთვის გამოვიყენეთ ჩაღრმავებული ინტერვიუს სტრუქტურირებული ფორმა, რამაც საშუალება მოგვცა ორივე ქვეყანაში (სომხეთი-საქართველო) გაგვეგო ყალბი ინფორმაციის გავრცელების მიზნები და მიზეზები; ასევე ძირითადი მანიპულატორები და ის თემები, რომლებიც ყალბი ინფორმაციის მორევში მუდამ ექცევა.

სოციალურ მედიაში არსებული მანიპულატორების ეფექტურობას ხაზს უსვამს და ამტკიცებს თვისებრივი კვლევის შემდეგი მეთოდიც - ფოკუს ჯგუფი. როგორც სომხეთში, ისე საქართველოში ჩატარებული ექსპერიმენტებით და ბენეფიციარებისთვის სხვადასხვა ყალბი ინფორმაციის ჩვენებით, გავიგეთ თუ ძირითადად რომელი მანიპულატორებით ტყუვდებიან მომხმარებლები: სათურით, ფოტოთი, წარწერით თუ დიზაინით. გარდა ამისა, აღნიშნულმა მეთოდმა საშუალება მოგვცა, გაგვეგო, თუ ყალბ ინფორმაციას ყველაზე ხშირად, რომელი ასაკობრივი კატეგორია აზიარებს. ასევე, ფოკუს-ჯგუფის მეშვეობით, გავაანალიზეთ მომხმარებელთა გამოხმაურებაც (უკუკავშირი). ბენეფიციარებს შეეძლოთ როგორც კომენტარების დატოვება, ისე ინფორმაციის მოწონება და გაზიარებაც. რის შემდეგაც ისინი აფიქსირებდნენ, ყალბია თუ არა ინფორმაცია, მათიაზრით.

კვლევის შედეგები

საკვლევ პერიოდში (2018-19 წლების დეკემბერი-ივნისი) სოციალურ ქსელში, კერძოდ კი „Facebook“-ში 30 ყალბი ინფორმაცია გამოქვეყნდა. ყველაზე მეტი ყალბი ინფორმაცია „კავკაზ პლიუს“- ის „Facebook“-გვერდსა და ვებ-პორტალზე გამოქვეყნდა, სულ 13 პუბლიკაცია. რაოდენობის მიხედვით, შემდეგი არის „Time News“ - 7 მასალა.

ცხრილი #1

ყალბი ინფორმაციის პირველწყარო	ყალბი ინფორმაციის რაოდენობა
ქართულენოვანი	
Time News	7
Info9	1


კაკვაზ პლიუსი	13
Maestro TV	1
სომხურენოვანი	
Asekose	2
Lragir.am	3
Tert.am	1
Грузия и Армения	1

აღნიშნული ცხრილით ვხვდებით, რომ საკვლევ პერიოდში, ქართულ სოციალურ მედიაში მეტი ყალბი ინფორმაცია გავრცელდა, ვიდრე სომხურში. აღნიშნულ მოვლენას ვხსნით სომხეთის პრემიერ-მინისტრის განცხადებით. მან 4 აპრილს, პარლამენტის სხდომაზე სპეციალისტებს ყალბი ინფორმაციის მკაცრი მონიტორინგი და ახალ კანონპროექტზე მუშაობის დაწყება დაავალა. აღნიშნულის შედეგად, „Facebook“-ის ქსელიდან გაუქმდა და წაიშალა რამდენიმე ყალბი გვერდი, პროფილი, ჯგუფი და გაუქმდა რამდენიმე ვებ-გვერდი (იხ. დანართი #1).

პუბლიკაციები გამოქვეყნების თარიღის მიხედვით

დაკვირვების შედეგად მივედით დასკვნამდე, რომ ყალბი ინფორმაციის გავრცელებას აქვს წინაპირობა, რომელიც კონკრეტულ დროში მისი გავრცელების ინტენსივობას იწვევს. მაგალითად, ყველაზე მეტი ყალბი ინფორმაცია აპრილში გავრცელდა (ქართულ მედიაში- 7, სომხურში- 3). შეგვიძლია ვთქვათ, რომ აღნიშნული მოვლენა გამოწვეულია 24 აპრილის მოვლენებით. როგორც ცნობილია, ამ დღეს სომხური დიასპორა, სხვადასხვა ქვეყანაში და, მათ შორის, საქართველოშიც, ე.წ. სომეხთა გენოციდის ხსოვნისადმი მიძღვნილ აქცია-ღონისძიებებს ახორციელებს.

დიაგრამა #1



ყალბი ინფორმაცია თემატიკის მიხედვით

პუბლიკაციები დავახარისხეთ თემატიკის მიხედვით და მივიღეთ შემდეგი შედეგი : პოლიტიკა-20; კულტურა-5; საზოგადოება-3; კრიმინალი-2.

დაკვირვება აჩვენებს, რომ ყალბი ინფორმაცია, ძირითადად, პოლიტიკურ კონტექსტში ვრცელდება. კვლევის პერიოდში სომხურ სოციალურ მედიაში გამოქვეყნებული 7 ყალბი ინფორმაციიდან ოთხი სომხურ-აზერბაიჯანულ და ქართულ-აზერბაიჯანულ თემატიკას, კერძოდ კი, თბილისში განხორციელებულ საპროტესტო აქციებს ეხება. მაგალითად, „Mamul.am“-ის პუბლიკაცია 24 აპრილის მშვიდობიანი აქციის შესახებ, სათაურისა და მთავარი ფოტოს ერთიან კონტექსტში, გაყალბებულ მესიჯს მოიცავს. დანარჩენი სამი პუბლიკაცია კი დავით გარეჯში მიმდინარე მოვლენებს ასახავს, სადაც აქცენტი აზერბაიჯანის მხრიდან თბილისის დაპყრობის სამომავლო გეგმებზე კეთდება. ქართულ სოციალურ მედიაში, ყალბი ინფორმაციის ჭარბი რაოდენობის გამო, თემატური მრავალფეროვნებაც ცალსახაა. თუმცა, აქაც ჭარბობს პოლიტიკური კონტექსტი.

პუბლიკაციების ანალიზი ზოგადი ჟურნალისტური სტანდარტების მიხედვით

- წყაროები, ავტორი, ენობრივი მახასიათებლები

საკვლევ პერიოდში გამოქვეყნებული 30 ყალბი ინფორმაციიდან მხოლოდ ერთშია მითითებული წყარო - საქართველოში არსებული ერთ-ერთი სომხურენოვანი ონლაინგამოცემა „ალიქ მედია“. თუმცა, აქაც უგულვებელყოფილია წყაროს მიერ მიწოდებული ინფორმაცია და სათაური შინაარსს არ შეესაბამება.

კვლევის პერიოდში გამოქვეყნებული 30 პუბლიკაციიდან არცერთს არ აქვს მითითებული ავტორი. სავსებით შესაძლებელია, რომ ამ კონკრეტული გვერდის ან ონლაინგამოცემის მიერ ყალბი

ინფორმაციის გავრცელების შესახებ მთელი რედაქციისთვის არის ცნობილი და ამ ტიპის ინფორმაციის გავრცელება წინასწარ იგეგმება რედაქციის მიერ, რაც კონკრეტული მიზნით ხდება.

გამართული ტექსტი იწვევს სანდოობისა და პროფესიონალიზმის განცდას, ხოლო გაუმართავი სტილი, გამოტოვებული ასოები, შეცდომები ბრუნვებსა და პუნქტუაციაში უკვე არის გარკვეული ინდიკატორი იმისა, რომ კონკრეტულ მასალაზე არაპროფესიონალები მუშაობდნენ ან ადამიანები, რომლებიც ენას არ ფლობენ. მაგალითად, „Time news“-ის პუბლიკაციაში¹ – „სომხეთმა ჯერ აფხაზეთი აღიარეს როგორც სახელმწიფო ახლა კი ვეფხისტყაოსანსაც გვედავებიან“ ის სომეხმა თავადმა დაწერა“ - სურენ აივაზიანის "სენსაციური" დასკვნა“ (სტილი დაცულია - ლ.მ.) – ვკითხულობთ: „მაშინ, როდესაც თბილისში სომხეთის პრეზიდენტ არმენ საჩქისიანს გულთბილად მასწინძობდნენ, თავად სომხეთში აფხაზეთის სეპარატისტული და ოკუპირებული რეგიონის დამოუკიდებლობა ფაქტიურად აღიარეს“ (სტილი დაცულია - ლ.მ).

სომხურ სოციალურ მედიაში ენობრივი ხარვეზები არ გვხვდება. ამ შემთხვევაში, „ფაბრიკაცია“ საკმაოდ „კარგი ხარისხით“ არის შესრულებული, რასაც ექსპერტებიც აღნიშნავენ. თუმცა, მაინც შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყალბი ინფორმაცია ხარისხიან ჟურნალისტიკას არ წარმოადგენს და ხშირად ზოგად ჟურნალისტურ სტანდარტებსაც არ იცავს.

პუბლიკაციების ანალიზი ყალბი ინფორმაციის ფორმების მიხედვით

სოციალურ მედიაში პირველი, რაც თვალს ხვდება, არის ფოტო და სათაური, რომელიც ამა თუ იმ პუბლიკაციას ახლავს. ეს ორი, ძალიან მნიშვნელოვანი კომპონენტი არის ის მიმზიდველი ფაქტორი, რომლის წაკითხვის/დანახვის შემდეგაც მკითხველს უჩნდება სურვილი, რომ პუბლიკაციაზე ანუ ვებ-გვერდზე გადავიდეს. ამიტომ, ყველა ცდილობს, რომ პუბლიკაციას შეძლებისდაგვარად კარგი და მიმზიდველი ფოტო და სათაური შეურჩიონ. ხშირად, ამის გამო ვაწყდებით გაყალბებულ ფოტოს, სათაურს და, სავსებით შესაძლებელია, გვერდსაც, რომელიც ვიზუალურად უკვე არსებული, სანდო მედიასაშუალებების გვერდს ჰგავს.

ყალბი ფოტო

როგორც ნებისმიერ პუბლიკაციას, ისე ფოტოსურათს, უნდა ახლდეს ავტორი ან წყარო. ძალიან კარგი ან შედარებით ცუდი ფოტოს დანახვისას, მკითხველი ინტერესდება, ვის ეკუთვნის ის. იმ შემთხვევაში, როცა ავტორი არ არის მითითებული, უკვე ჩნდება მოსაზრება, რომ ფოტოსურათი სხვა გვერდიდან ან წყაროდან არის აღებული. შემდეგ, ვაკვირდებით ხარისხს. მრავალჯერ დამუშავებულ ფოტოს აქვს დაბალი ხარისხი: ფოტოსურათი დამუშავების შემდეგ პიქსელებად იშლება. ყურადღებას იპყრობს არასტანდარტული ზომაც, რაც იმას გულისხმობს, რომ ფოტოსურათი მოჭრილია გამიზნულად. ასევე საინტერესოა ფერის კორექცია, რაც დამუშავებული ფოტოსურათის ხარვეზების დასაფარად ხდება. ჩვენ საკვლევ პერიოდში ფოტოს გაყალბების 25 შემთხვევა დავაფიქსირეთ (იხ. ცხრილი #2).

¹ <https://timenews.ge/1345--.html>

ცხრილი #2

ყალბი შინაარსი	ყალბი ფოტო	ყალბი სათაური	ყალბი სათაური და ფოტო	დროში აცდენა
21	25	7	5	2

საინტერესოა ერთი მაგალითი: 2019 წლის 23 იანვარს Facebook-ში არსებულმა „Maestro TV“-ის გვერდმა გააზიარა ფოტო (ფოტო: დანართი #2) შემდეგი მინაწერით: „ვენაში, ტურისტულ გამოფენაზე, სომხეთის სტენდზე თბილისის და გერგეტის სამების ფოტოებია წარმოდგენილი“. „Maestro TV“-ს მიერ გავრცელებულ ფოტოსურათზე ვხედავთ წარწერას „ARMENIA“ და სხვადასხვა ეკლესია-მონასტერს, მათ შორის, გერგეტის სამებას და ორთაჭალის ხედს. უნდა ითქვას, რომ მაესტრომ ამ ფოტოს თავისი ლოგო, ანუ ინგლისური ამობრუნებული e დაახატა- ა, რაც, სავარაუდოდ, ქართულ მ ასოს უნდა ასახავდეს. ერთი საათის შემდეგ, აღნიშნული ფოტო, იმავე ლოგოთი კონკრეტულმა პირმა გააზიარა(იხ. დანართი #3), რასაც საკმაოდ დიდი გამოხმაურება მოჰყვა. კიდევ ერთი საათის შემდეგ „Maestro TV“-ის გვერდიდან ეს ინფორმაცია და ფოტოსურათი წაიშალა (ჩვენ ხელთ გვაქვს ამ პუბლიკაციის ე.წ. სქრინი). თუმცა, კონკრეტული პირების მიერ შენახული და ამ სახით გაზიარებული ფოტოსურათი სოციალური მედიის მომხმარებლისთვის დღესაც ხელმისაწვდომია. როგორც ვთქვით, არსებობს ფოტოსურათის სტანდარტული ზომები, აღნიშნული ფოტო სტანდარტებს სცდება. ამიტომ, გადავწყვიტეთ ფოტოსურათის გადამოწმება. „Google Image“-ის მეშვეობით დავიწყეთ ფოტოსურათის ორიგინალის ძიება. ორიგინალის აღმოჩენამ დაადასტურა, რომ ფოტოსურათი ნამდვილად კადრირებული იყო (იხ. დანართი #4). ორიგინალ ფოტოში ვხედავთ, რომ ვენაში წარდგენილია ორი სტენდი: საქართველო და სომხეთი. ამ ორივე სტენდზე მიწერილია „ARMENIA“ და „GEORGIA“. გაყალბებულ ფოტოსურათში ამოჭრილია „GEORGIA“. ცხადია, მომხმარებელმა იფიქრა, რომ სომხურმა ტურისტულმა კომპანიამ მიითვისა ქართული ძეგლები. ერთ-ერთი მათგანი (იხ. დანართი #3) წერს: "საგარეო საქმეთა სამინისტროს! ავსტრიის დედაქალაქში გახსნილ ტურისტულ გამოფენაზე, სომხეთი თბილისისა და გერგეტის სამების ხედების ფოტოებით წარსდგა! ამ სომხებს რომ კრამიტის დაცურებასთან დაკავშირებით პრობლემები აქვთ, 26 საუკუნეზე მეტია ვიცით, რაც კავკასიაში გადმოსახლდნენ... მაგრამ იქნებ, ჩვენმა დიპლომატებმაც გაიღვიძონ და სტენდი გამოაცვლევინოთ, ამ უბედურებს! /გაიზიარეთ და გააზიარეთ!/".

სინამდვილეში, ტურისტულმა კომპანიამ ორივე ქვეყანა ერთ კუთხეში, ცალ-ცალკე წარადგინა. აღსანიშნავია, რომ მაესტროს მიერ ყალბი ინფორმაცია ერთ საათში 62-მა მომხმარებელმა გააზიარა. შემდეგ, კონკრეტული პირის მიერ გაზიარებულმა იგივე ფოტოსურათმა 1747 გაზიარება "დაიშახურა". უნდა აღვნიშნოთ, რომ ორიგინალ ფოტოსურათზე არანაირი ლოგო არ გვხვდება, ხოლო ყალბი ფოტო მხოლოდ „Maestro TV“-ს ლოგოთი გვხვდება. შესაბამისად, ყალბი ინფორმაციის პირველწყაროც "მაესტროა".

სომხეთში იგივე ფოტო და ინფორმაცია სხვა რაკურსით წარადგინეს. მათ ფოტოზე გამოსახული ა (იდეაში ქართული მ) აღიქვეს, როგორც აზერბაიჯანული ასო ე (ა) და ამტკიცებდნენ, რომ ეს ყალბი ინფორმაცია აზერბაიჯანულმა მედიამ გაავრცელა (იხ. დანართი #5). აღნიშნული ინფორმაცია 54-მა მომხმარებელმა გააზიარა.

ყალბი სათაური

გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როცა პუბლიკაციის შინაარსი სიმართლეს შეესაბამება, მაგრამ მისი სათაური სულ სხვა ინფორმაციას ატარებს. ასეთი შემთხვევები მეტად დაფიქსირდა სომხურ სოციალურ მედიაში. საკვლევ პერიოდში გამოქვეყნებული შვიდი ყალბი ინფორმაციიდან ხუთი სათაურის გაყალბება და მანიპულაციაა. აქედან, დავით გარეჯის შესახებ გამოქვეყნებულ სამივე მასალას გაყალბებული სათაური აქვს.

„Lragir.am“-ი, 17 მაისს თავის Facebook-გვერდზე აზიარებს პუბლიკაციას² შემდეგი სათაურით - „ქართველები არ ელოდნენ „თბილისის ოკუპაციას“, აზერბაიჯანელებმა შეტევა დაიწყეს“ (იხ. დანართი #6). უნდა ითქვას, რომ, მიუხედავად ასეთი სათაურისა, პუბლიკაციის შინაარსი ყალბი არ არის. ის მოიცავს აზერბაიჯანელი მოღვაწეების მოსაზრებებს საქართველოს ტერიტორიების შესახებ და საკმაოდ რთულია იმის განსაზღვრა, თუ სად მთავრდება კონკრეტული პირის მოსაზრება და იწყება ჟურნალისტის ტექსტი. რაც შეეხება ქართულ სოციალურ ქსელს, აქ მხოლოდ სათაურის გაყალბება არ გვხვდება, ყალბია როგორც სათაური, ისე – ინფორმაციაც (სათაურების სტილი ყველგან დაცულია. ლ.მ.). მაგალითად:

1. „სასწრაფოდ: ეს უკვე მეტისმეტია სკანდალური და საშიში ინფორმაცია სომხეთს სურს, ბირთვული ნარჩენები საქართველოს გავლით გატანა“
2. „ეს უკვე მეტისმეტია რა სკანდალურ განცხადებას ავრცელებს სომხეთის პარლამენტის წევრი საქართველო თუ ჯავახეთს სომხებს დაუთმობს“. NATO-ს წევრიგახდება,“
3. „ძალიან ცუდი ინფორმაცია, რომელიც ახლახან გავრცელდა ეს უკვე მეტისმეტია გათამამებული სომხეთის ულტიმატუმი საქართველოს, სომხეთი აპირებს „აიძულოს“ საქართველო კაპიტულაციისკენ?“
4. „საქართველო, როგორც კონკურენტი ჩვენთვის წარსულშია, სომხეთია ღვინის სამშობლო“.

ამრიგად, ნებისმიერი ყალბი სათაური მკითხველის მოზიდვას ისახავს მიზნად. მარტივი დაკვირვებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ასეთი სათაურით პუბლიკაციას მეტი ნახვა და გაზიარება აქვს. მაგალითად, ჩვენ მიერ ჩამოთვლილი სათაურების მქონე მასალებს, დაახლოებით, 5000 ნახვა და, საშუალოდ, 500–700 გაზიარება აქვს (იხ. დანართი #7).

² <https://www.lragir.am/2019/05/17/443972/>

შინაარსის გაყალბება

კვლევამ აჩვენა, რომ შინაარსის გაყალბებაც საკმაოდ ხშირია. ძირითადად ხდებამველი მოვლენის განახლება. მეტი თვალსაჩინოებისთვის განვიხილოთ შემდეგი მაგალითი. „Asekose.am“-მა 2019 წლის 18 თებერვალს გაავრცელა ინფორმაცია³, რომ საქართველოში სამართალდამცავები ეთნიკურად აზერბაიჯანელ პირს ეძებენ, რომელიც სომხური ეკლესიიდან პირდაპირ ეთერში შევიდა და სომხური დროშა დაწვა. ხაზი უნდა გავუსვათ იმ ფაქტს, რომ ეს მოვლენა 2018 წლის ნოემბერში მოხდა. ამის შემდეგ გაირკვა, რომ მითითებული პირი რუსეთის ფედერაციის მოქალაქეა და საქართველოში ტურისტის სახით იყო ჩამოსული. ამ ფაქტის შემდეგ მან მალევე დატოვა საქართველოს ტერიტორია, რის შემდეგაც აქტიური გამოძიება შეწყდა და საქმეც დაიხურა.

მსგავსი მაგალითი გვხვდება ქართულ სოციალურ მედიაშიც. 2019 წლის 10-11 მარტს „Facebook“-ში აქტიურად გაზიარდა „Info9“-ს მიერ გამოქვეყნებული პუბლიკაცია- „სომხებმა აფხაზეთში ეროვნულ-კულტურული ავტონომია შექმნეს“ (იხ. დანართი #8). კონკრეტულად „Info9“-მ ეს ინფორმაცია 10 მარტს დადო. ცხადია, ამ შემთხვევაში ის პირველწყაროა, თუმცა, ინფორმაცია იდენტურია 2016 წლის 16 მაისს „კავკაზ პლიუსის“ მიერ გამოქვეყნებული ამბისა, რომელიც ასევე ყალბია (იხ. დანართი #9). ამ შემთხვევაში, ნათლად ჩანს, რომ ყალბი ინფორმაცია კონკრეტული პერიოდის შემდეგაც მეორდება ან ამბისთვის "ახალი" წყარო ხდება.

2018 წლის დეკემბერში სოციალურ მედიაში გავრცელდა ინფორმაცია⁴, რომ ჯავახეთში ეროვნებით სომეხმა მოსახლეობამ ახალქალაქისა და კუმურდოს მიტროპოლიტის, მეუფე ნიკოლოზის სახლი „გადაწვა“. ინფორმაცია მაშინვე არ დაადასტურა მეუფე ნიკოლოზმა, რომელმაც განაცხადა, რომ იმ სახლში თავად არ ცხოვრობდა - ის ამ სახლს აქირავებდა პიროვნებაზე, რომელმაც დანაშაული ჩაიდინა და მოსახლეობამ ის მკვლეელი „დასაჯა“.

ყალბი ინფორმაციის ანალიზი გაზიარებების მიხედვით

ყალბი ინფორმაცია სპეციალური ალგორითმით იქმნება. მათი მთავარია მიზანია, მანიპულატორების მეშვეობით, შექმნან ერთგვარი მახე და მოტყუებით მოიზიდონ მკითხველი/მომხმარებელი. ყალბი ინფორმაციის გავრცელების ერთ-ერთი მიზანია, „Facebook“-ზე მეტი მოწონების, გაზიარებებისა და ნახვების დაგროვება. იქიდან გამომდინარე, რომ ყალბი ინფორმაცია ხშირად სენსაციურია, მკითხველი მას დაუფიქრებლად აზიარებს ან იწონებს. რის შემდეგაც, ეს ინფორმაცია მისი „მეგობრებისთვის“ ხდება ხელმისაწვდომი და სანდო, რადგან ეს მათთვის ნაცნობმა ადამიანმა გააზიარა. ასე იკვრება ჯაჭვი და იზრდება როგორც გაზიარებები, ისე მოწონებები. შესაბამისად, ამით მრავლდება პუბლიკაციის ნახვებიც.

³ <https://bit.ly/2NT28f3>

⁴ <https://timenews.ge/2033--.html>

გაზიარებების ანალიზი

მარტივი დაკვირვებით ვხედავთ, რომ გაყალბებულ ინფორმაციას საკმაოდ ბევრი გაზიარება და მოწონება აქვს. ამისთვის შეგვიძლია დავაკვირდეთ საკვლევ პერიოდში „Facebook“-ის ქსელში გამოქვეყნებულ გაყალბებულ ინფორმაციას, რომელსაც ყველაზე მეტი გაზიარება აქვს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, „Maesto TV“-ს მიერ გაზიარებულ გაყალბებულ ინფორმაციას ვენის გამოფენასთან დაკავშირებით 1 საათში 62 გაზიარება ჰქონდა. შემდეგ, იგივე ინფორმაცია, თავის „კედელზე“ კონკრეტულმა პირმა გააზიარა, რომელმაც 1747 გაზიარება, 759 მოწონება და 78 კომენტარი „დაიმსახურა“ (იხ. დანართი #10). შესაბამისად, ამ 1747 გაზიარებას ემატება იმ პირთა გაზიარებებიც, რომლებმაც უკვე მეორე წყაროს პუბლიკაცია გააზიარეს. ცხადია, იგივე სისტემით მრავლდება მოწონებები და კომენტარებიც. შეგვიძლია ვთქვათ, რომ პროცესი უმართავი ხდება. ერთი გაზიარება უდრის იმდენ პოტენციურ მკითხველს, რამდენი „მეგობარც“ ამ კონკრეტულ პირს აქვს.

უნდა ითქვას, რომ საკვლევ პერიოდში „Time News“-ის მიერ გამოქვეყნებულ არცერთ პუბლიკაციას არ აქვს იმდენი გაზიარება, როგორც გაყალბებულ ინფორმაციას რუსული ჯარის შეტევის შესახებ. როგორც ვთქვით, აქ მთავარი ისაა, რომ წამყვან ფოტოსურათზე სომხეთის დროშა ჩანს. ამ პუბლიკაციას 448 გაზიარება აქვს (იხ. დანართი #11).

იგივე შემთხვევა დაფიქსირდა სომხურ მედიაშიც. „Lragir.am“-ის პუბლიკაციას, სახელწოდებით – „ქართველები არ ელოდნენ „თბილისის ოკუპაციას“? აზერბაიჯანმა შეტევა დაიწყო“ – 65 გაზიარება აქვს (იხ. დანართი #12). იმ მოსაზრების დასადასტურებლად, რომ ყალბ ინფორმაციას მეტი გაზიარება აქვს, ვიდრე ნამდვილს, დავაკვირდით რამდენიმე ნამდვილ ინფორმაციას, რომელსაც არ აქვს არანაირი მანიპულატორი (იხ. დანართი #13). ნათლად ჩანს, რომ გამოყოფილ პუბლიკაციებს საერთოდ არ აქვს გაზიარება ან მოწონება. ეს ცხადყოფს, რომ ყალბი პუბლიკაციები, შესაბამისი მანიპულატორებით, წინასწარ არის დაგეგმილია, რათა მეტი მომხმარებელი გადავიდეს გვერდზე და, შესაბამისად, გააზიაროს.

ფოკუს-ჯგუფის ანალიზი

რადგანაც კონტენტ-ანალიზით ძირითადი მანიპულატორები და სპეციალურად მომზადებული „სატყუარები“, რომლითაც მომხმარებელი ტყუვდება, ვერ დადგინდა, კვლევის ფარგლებში ჩავატარეთ ორი ფოკუს-ჯგუფი: სომხურენოვანი და ქართულენოვანი. ფოკუს-ჯგუფმა მოგვცა საშუალება, რომ გვეპასუხა ერთ-ერთი საკვლევ კითხვისთვის, თუ რომელი მანიპულატორები გვხვდება სოციალურ მედიაში ყველაზე ხშირად? ასევე, ფოკუს-ჯგუფის შედეგების შეჯამებით დავადგინეთ, რომელი ასაკობრივი კატეგორია აზიარებს ყალბ ინფორმაციას ყველაზე ხშირად.

ფოკუს-ჯგუფის მონაწილე ორივე ჯგუფისთვის სპეციალურად შეირჩა 12 ყალბი ინფორმაცია. აქედან ხუთი ჩვენ მიერ სპეციალურად იყო გაყალბებული, ხოლო შვიდი საკვლევ პერიოდში აღმოჩენილი გაყალბებული ინფორმაცია იყო. მონაწილეებს წინასწარ დაურიგდათ ანკეტები, სადაც მათ, თითოეული ყალბი ინფორმაციის წაკითხვის შემდეგ, კონკრეტულ კითხვაზე უნდა ეპასუხათ.

სომხურენოვანი ჯგუფი

სომხურენოვან ჯგუფში მონაწილეობას 8 პირი იღებდა, 20-დან 55 წლამდე. ბენეფიციარებმა გადახედეს 12 გაყალბებულ ინფორმაციას ისე, რომ არ იცოდნენ, რომელია ყალბი და რომელი ნამდვილი (ყველა ფოტო, ტექსტი, სათაური ყალბი იყო).

ბენეფიციარებს პასუხები 12 ყალბი მაგალითის მიხედვით ცხრილი #3 (8 ბენეფიციარი)

		#1	#2	#3	#4	#5	#6	#7	#8	#9	#10	#11	#12
ყალბია	ყალბი	4	8	3	7	4	3	5	0	1	0	5	4
ინფორმაცია თუ ნამდვილი?	ნამდვილი	4	0	5	1	4	5	3	8	7	8	3	4
	ი												

დიაგრამიდან ჩანს, რომ ყალბი ინფორმაცია ბენეფიციარებისთვის საკმაოდ დამაჯერებელი აღმოჩნდა და რამდენჯერმე 8-ვე მონაწილემ დააფიქსირა, რომ ინფორმაცია ნამდვილია (მაგალითები #8, 9, 10).

მეათე მაგალითში სათაურის გაყალბება გვხვდება - „საქართველოში, ხაშურში სახლი იწვის“. მართალია, ყველამ დაიჯერა, მაგრამ არავინ გააზიარა. ბენეფიციარებმა დაბალი ინტერესი იმით ახსნეს, რომ მათ არ აინტერესებთ. თუ რა ხდება ხაშურში.

საინტერესოა ისიც, რომ იგივე მაგალითი ვაჩვენეთ შემდეგი სათაურით- „სომხეთში, აბარანში სახლი იწვის“. ამდენად, აშკარაა, რომ ხშირად გააზრებულად აზიარებენ გაყალბებულ ამბავს, რათა მეგობრებს/სანაცნობო წრეს სიმართლე ამცნონ. ცნობილია, რომ ყალბი ინფორმაციის ერთ-ერთი მიზანიც ესაა: გაზიარებებისა და ნახვების ჭარბი რაოდენობა. ანუ, სატყუარა მუშაობს.

რაოდენობრივი შედეგების შეჯამებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყალბი ინფორმაცია და მანიპულატორები თავის მიზანსა და შედეგს აღწევს. ხშირ შემთხვევაში, მკითხველი დარწმუნებულია, რომ ეს ინფორმაცია ყალბია, მაგრამ კითხვას მაინც აგრძელებს. ხშირად ამას იმიტომ აკეთებენ, რომ გაიგონ თუ სინამდვილეში რა ხდება. თუმცა, როგორც უკვე ვთქვით, მიზანიც ზუსტად ესაა, რომ მოიზიდონ მკითხველი და, უკვე გვერდზე გადასულს, სულ სხვა ინფორმაცია შესთავაზონ ანდა საერთოდ სარეკლამო გვერდზე გადაიყვანონ, რასაც „Clickbaits“-ს უწოდებენ.

ქართულენოვანი ჯგუფი

ჯგუფში მონაწილეობას 10 პირი იღებდა, 21-დან 57 წლამდე. ბენეფიციარებმა გადახედეს 12 გაყალბებულ ინფორმაციას ისე, რომ არ იცოდნენ რომელია ყალბი და რომელი ნამდვილი (ყველა ფოტო, ტექსტი, სათაური ყალბი იყო).

ბენეფიციარების პასუხები 12 ყალბი მაგალითის მიხედვით ცხრილი #4 (10 ბენეფიციარი)

		#1	#2	#3	#4	#5	#6	#7	#8	#9	#10	#11	#12
ყალბია ინფორმაცია თუ ნამდვილი?	ყალბი	2	9	5	7	6	9	1	3	4	7	6	1
	ნამდვილი	8	1	5	3	4	1	9	7	6	3	4	9

ამ შემთხვევაშიც, დიაგრამიდან ჩანს, რომ ყალბი ინფორმაციის საკმაოდ ბევრს სჯერა. თუ სომხურენოვან ჯგუფში მეორე მაგალითი ყველას ყალბი ეგონა, აქ განსხვავებული მოსაზრებაც გვხვდება. შეგვიძლია ვთქვათ, რომ არსებობს მომხმარებლის კატეგორია, რომლისთვისაც ყველაზე აბსურდული ყალბი ინფორმაციაც საკმაოდ დამაჯერებელია. ეს კი მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ამ კონტენტს თავისი აუდიტორია ჰყავს, რომელზეც გავლენას ახდენს.

საინტერესოა, რომ ქართულენოვან ჯგუფში გაზიარება ნაკლებად გვხვდება, თუმცა მაინც არის ამის რამდენიმე შემთხვევა. ყველაზე გაზიარებადი კი, ვენის ტურისტულ ფესტივალზე, სომხურ სტენდზე საქართველოს ფოტოსურათების გამოქვეყნების შემთხვევა გახდა. საინტერესოა ისიც, რომ 8 ბენეფიციარს ეს ყალბი ინფორმაცია რეალური მიაჩნია. მათი თქმით, პროტესტის ნიშნად გააზიარეს, რადგან სომხურმა ტურისტულმა კომპანიამ ქართული ძეგლები მიითვისა.

აღსანიშნავია, ქართულენოვან ჯგუფში უარყოფითი პასუხები შედარებით ნაკლებადაა. მიუხედავად ამისა 10 მომხმარებელში, ყველაზე მცირე, ერთი თუ აზიარებს გაყალბებულ ინფორმაციას. ეს ნიშნავს რომ 1000 მომხმარებელში, სავსებით შესაძლებელია 100-მა გააზიაროს. შესაბამისად, მანიპულატორები აქაც წარმატებით მიშაობს და თვის ფუნქციასასრულებს.

საინტერესოა, რომ ორივე ჯგუფში პოზიტიურმა გაყალბებულმა ამბებმა მეტი მოწონება და ნდობა დაიმსახურა. სომხურენოვან ჯგუფში ეს მე-9 („სომხეთის პრეზიდენტი საქმიანი ვიზიტით ლონდონში იმყოფება“- ყალბი ფოტო), ხოლო ქართულენოვანში მე- 12 („საქართველოს და სომხეთის პრეზიდენტები შეხვდნენ და სამცხე-ჯავახეთის საკითხი განიხილეს“) მაგალითი გახლავთ. მოვლენა იმდენად დადებითი იყო ბენეფიციარებისთვის, რომ გააზიარეს, კომენტარიც დატოვეს და ცხადია, სრული პუბლიკაციის წასაკითხადაც გადავიდნენ.

ამ შემთხვევაშიც, ბენეფიციარები საერთოდ არ დაინტერესდნენ იმით, რომ სომხეთში ხანძარია, თუმცა სათაურის შეცვლის შემდეგ (სომხეთში, აზარანის ნაცვლად- საქართველო, ხაშური) ბენეფიციარები მეტად დაინტერესდნენ.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ პირველი მაგალითი ფოკუს-ჯგუფის 12 ბენეფიციარს ჭეშმარიტი ჰგონია, მათ შორის, 5 მონაწილე 40-ზე ზევით ასაკობრივ კატეგორიას მიეკუთვნება. ეს კი 12-ის 41,66 %-ს შეადგენს. მარტივი დაკვირვებით ჩანს, რომ ამ ასაკობრივ კატეგორიაში 12 მაგალითიდან 7 ყალბი ინფორმაცია ჭეშმარიტად მიაჩნიათ. ამასთან ერთად, ეს კატეგორია ყველაზე ხშირად აზიარებს გაყალბებულ ინფორმაციას. მართალია იშვიათად, მაგრამ ამას ყალბი ინფორმაციის

გასამყლავნებლადაც აკეთებენ. თუმცა, უკვე ცნობილია, რომ ეს ერთგვარი მახეა. ეს მონაცემები კი პირდაპირ პასუხობს ჩვენს ერთ-ერთ საკვლევ კითხვას, რომ სოციალური მედიის მომხმარებლის ასაკობრივი რომელი კატეგორია აზიარებს გაყალბებულ ინფორმაციას? ფოკუს-ჯგუფმა აჩვენა, რომ 40-ზე ზევით ასაკობრივი კატეგორია უფრო ხშირად აზიარებს ყალბინფორმაციას.

ჩაღრმავებული ინტერვიუ

ინტერვიუ ჩატარდა ორ სომეხ, ორ ქართველ და ერთ საერთაშორისო ექსპერტთან:

1. ბრაიან ვითმორი - ევროპული პოლიტიკის ანალიზის ცენტრის (CEPA) რუსეთის პროგრამის ხელმძღვანელი, რადიო თავისუფლების ყოფილი უფროსი ანალიტიკოსი და რუსეთის პროპაგანდისა და ყალბი ინფორმაციის მკვლევარი;
2. სამველ მარტიროსიანი - ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი, მედიაექსპერტი ყალბი ინფორმაციების მიმართულებით;
3. რაფაელ აფრიკიანი - სომხეთის ფაქტების გადამოწმების პლატფორმის მთავარი რედაქტორი;
4. სოფო გელავა - მედიის განვითარების ფონდის (MDF) მკვლევარი;
5. მამუკა საფარიძე- პოლიტიკური მეცნიერების მაგისტრი (Malmo University, Sweden) მედიაწიგნიერების სერთიფიცირებული ტრენერი (Stone Brook Univeristy, New York; Poznan University, Poland; America House Kyiv, Ukraine).

საინტერესოა, რომ ინტერვიუერების პასუხები, ძირითადად, ერთმანეთს ემთხვევა. ისინი მიიჩნევენ, რომ ქართულ და სომხურ რეალობაში, ყალბი ინფორმაციის ფორმებიდან, სოციალურ მედიაში ყველაზე ხშირად ყალბი სათაურები და ფოტოსურათები გვხვდება, რომელიც პუბლიკაციის შინაარსს საერთოდ არ შეესაბამება (misleading headlines). თუმცა, ასევე გამოიყო ფოტო-გაყალბება (Photo fake). ინტერვიუერების პასუხების შეჯამებით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მომხმარებლის მოტყუება ვიზუალური მანიპულატორებით უფრო ეფექტურია. ფოტო-გაყალბების მეშვეობით ისინი ამ მოვლენას ხედავენ და ფიქრობენ, რადგან ეს ფოტოსურათზე ჩანს, მაშინ სიმართლეს შეესაბამება.

ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ საკმაოდ ხშირად აწყდებიან გაყალბებულ ინფორმაციას სხვადასხვა ეთნიკური უმცირესობის შესახებ. ინტერვიუს შედეგებმა დაადასტურა, რომ მგრძობიარე თემებით მანიპულირება ყველაზე მარტივია. ზუსტად ამ ტიპის ინფორმაციის გაყალბებით ხდება შუღლის გაღვივება ადამიანებს, ერებსა და ქვეყნებს შორის, რაც საკმაოდ საზიანო შეიძლება აღმოჩნდეს, ისეთი მრავალეთნიკური ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა.

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ყალბი ინფორმაცია მკითხველის ემოციებზეა აგებული. ზუსტად ამიტომ, გაყალბებისთვის ისეთ თემებს არჩევენ, რომ მანიპულაცია მარტივი იყოს. ძირითადად ესენია: ეროვნული სულისკვეთება, ბავშვთა საკითხების გაშუქება, ტერიტორიული მთლიანობა, ისტორიით არსებული ტრავმები და სხვა. სხვადასხვა ერისთვის ეს მანიპულატორი შეიძლება განსხვავებული იყოს. მაგალითად, თუ სომხურ მედიაში ეს ყარაბაღია, ქართულ მედიაში ეს სოხუმი

შეიძლება იყოს. ზუსტად ამით არის გამოწვეული გაზიარებების რაოდენობაც. თემები იმდენად ემოციური და მგრძობიარეა, რომ გაზიარების დილაკზე დაჭერა გაუცნობიერებლად - ავტომატურად ხდება. ჩვენი კვლევის შედეგად დადასტურდა, რომ ვენის ტურისტულ გამოფენაზე სომხეთის სტენდზე გერგეტის სამებისა და თბილისის ფოტოების წარდგენის შესახებ პუბლიკაციამ ყველაზე მეტი გაზიარება და გამოხმაურება „დაიმსახურა“ (1747 გაზიარება, 759 მოწონება). შესაბამისად, ამ შემთხვევაშიც მომხმარებლის ემოციებით ხდება მანიპულირება: ისინი ებრძვიან იმას, რომ მათი კულტურული მემკვიდრეობა არავინ წაართვას.

ინტერვიუერები სომხურ-ქართული თემატიკით ყალბი ინფორმაციის გავრცელების ერთ ძირითად მიზეზს ასახელებენ - რეგიონში ქვეყნებს შორის მტრული, ქსენოფობიური დამოკიდებულების შექმნა და კონფლიქტის გაღვივება.

საინტერესოა, რომ გამოიყო მესამე ძალის ზემოქმედება. რესპონდენტების აზრით, ყველაფრის უკან რუსული ძალა დგას. უმთავრესი მიზანი კი სომხეთსა და საქართველოს შორის მტრული დამოკიდებულების შექმნაა, რაც წყალს ასხამს საერთო მტრის წისქვილზე. დემოკრატიული და სტაბილური მეზობელი ქვეყნები რუსეთის ინტერესებს ეწინააღმდეგება. ამდენად, რუსულ ესტებლიშმენტს ძალიან ეშინია, რომ სამეზობლოში არსებული დემოკრატიული გარემო საფრთხეს შეუქმნის რუსულ ავტორიტარიზმს. დამოუკიდებელი მკვლევარი ამტკიცებს, რომ ყალბი ინფორმაციის ჭარბი რაოდენობით გავრცელება და ამ მეთოდით საზოგადოების აზრით მანიპულირება რუსეთის „ტაქტიკას“ ჰგავს. დამოუკიდებელი ექსპერტი მიიჩნევს, რომ ხშირად რუსული პროპაგანდა გვევლინება როგორც აზერბაიჯანული და ამით, ცხადია, ის მანიპულირებს ისტორიული ტრავმებით და უკვე წლობით არსებული კონფლიქტით, რის გამოც ყალბი ინფორმაციის გავრცელებას, უპირველეს ყოვლისა, აზერბაიჯანს და აზერბაიჯანულ მედიას აწერენ, მაგრამ ეს ასე არ არის. ბრაიან ვითმორმა განმარტა, რომ სომხეთის ყალბი ინფორმაცია სულ სხვა დონეზეა. იქ ფაბრიკაცია იმდენად ძლიერია, რომ ხშირად ექსპერტებიც ვერ ამჩნევენ ამას.

დასკვნა

საკვლევ პერიოდში გამოქვეყნდა 30 ყალბი ინფორმაცია. შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ აღნიშნული თემატიკა (სომხურ-ქართული ურთიერთობა) საკმაოდ ხშირად ხდება გაყალბების მსხვერპლი. ჩვენი კვლევის შედეგად დამტკიცდა, რომ ყალბი ინფორმაცია პოლიტიკური სახის პუბლიკაციებში გვხვდება. 30 პუბლიკაციიდან 20 პოლიტიკური ხასიათისაა.

პუბლიკაციების 50% (15 პუბლიკაცია) გამოქვეყნდა მარტსა და აპრილში, რაც ცალსახად ხაზს უსვამს იმას, რომ ყალბ ინფორმაციას აქვს წინაპირობა. უნდა ითქვას, რომ აპრილის თვე საკმაოდ დაძაბულია: 24 აპრილს მთელ მსოფლიოში საპროტესტო აქციები და სომეხთა ე.წ. გენოციდის აღიარების შეხვედრები იმართება. საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი სომხური დიასპორაა. ცხადია, რომ ამ პერიოდში გავრცელებულ ყალბ ინფორმაციას კონკრეტული მიზანი აქვს. ეს ის პერიოდია, როცა საზოგადოების მგრძობიარეობა და ეროვნული სულისკვეთება გაორმაგებულია. ამ ფონზე ნებისმიერ ყალბ ინფორმაციას მეტი გამოხმაურება და საზიანო შედეგიც შეიძლება ჰქონდეს.

შესაბამისად, ყალბი ინფორმაციის გავრცელებას კონკრეტული წინაპირობა აქვს, რაც გავრცელების ინტენსივობას იწვევს.

კვლევამ აჩვენა, რომ თითოეული ყალბი ინფორმაცია შესაბამის მანიპულატორს შეიცავს. ფოკუს-ჯგუფისა და ჩალრმავებული ინტერვიუს მეშვეობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართულ/სომხურ სოციალურ მედიაში ძირითად მანიპულატორებად ფოტო და სათაურში გამოყენებული ემოციური ფრაზებია.

პუბლიკაციების გაზიარებების ანალიზით გამოჩნდა ზოგადი სურათი, რომ, ძირითადად, 40-ზე ზევით ასაკობრივი კატეგორია აზიარებს ყალბ ამბავს. ხოლო, ფოკუს-ჯგუფმა ეს მოსაზრება უფრო განამტკიცა.

პუბლიკაციების შინაარსისა და ძირითადი თემატიკიდან გამომდინარე, შეგვექმნა ზოგადი წარმოდგენა იმაზე, თუ რა მიზანი აქვს საქართველოში სომხეთის (სომხეთში –საქართველოს) შესახებ გაყალბებული ინფორმაციის გავრცელებას. ხოლო, მედიაექსპერტების პასუხებმა უფრო განამტკიცა მოსაზრება, რომ ყალბი ინფორმაციის გავრცელებას კონკრეტული მიზნები აქვს. ამ თემატიკის შემთხვევაში (საქართველო-სომხეთი), მიზანი ორი მოძმე ერის და ხალხების დაპირისპირებაა, რასაც დამოუკიდებელი და საერთაშორისო მკვლევარი ბრაიან ვითმორი რუსეთის ფაქტორის, ანუ მესამე ძალის, ჩარევით ხსნის. მიგვაჩნია, რომ ეს მოსაზრება არ არის ლოგიკას მოკლებული, თუმცა ვფიქრობთ, ეს საკითხი ჩვენი კვლევის თემას სცდება და რუსული პროპაგანდის კვლევის არეალში მოიაზრება.

მიუხედავად იმისა, რომ ყალბ ინფორმაციასთან ბრძოლის კონკრეტული გზები ჯერ არ ვხვდებართადერთი მისი გამჟღავნება და ფართო აუდიტორიისთვის ჩვენებაა. თუმცა, კვლევამ ცხადყო, რომ სოციალურ მედიაში ყალბი ინფორმაცია გამიზნულად ვრცელდება მანიპულაციის, პროპაგანდისა და მკითხველის (მოწონებებისა და გაზიარებების გაზრდის) მოზიდვის მიზნით – დადასტურდა.

ბიბლიოგრაფია

Alberto Alemanno (2018), *How to Counter Fake News? A Taxonomy of Anti-fake News Approaches*, European Journal of Risk Regulation, Vol. 9, No.1 pp. 1–5.

მოძიებულია: 19-11-2019

<https://doi.org/10.1017/err.2018.12;>

Andrew Guess, Jonathan Nagler & Joshua Tucker (2019), *Less than you think: Prevalence & predictors of fake news dissemination on Facebook*, Science Advances, Vol. 5, no. 1, eaau4586.

მოძიებულია: 19-11-2019

<http://sci-hub.tw/10.1126/sciadv.aau4586;>

Brian C. Housand (2018), *Fighting Fake News*, USA, Austin: Prufrock Press Inc;

Carol A. Watson (2018), *Information Literacy in a Fake/False News World: An Overview of the Characteristics of Fake News & its Historical Development*, International Journal of Legal Information, Vol. 46, No. 2, pp. 93–96.

მომიებულია: 19-11-2019

<https://doi.org/10.1017/jli.2018.25>;

Cerese, A., & Santoro, C. (2018). From racial hoaxes to media hypes: Fake news' real consequences. In Vasterman P. (Ed.), *From Media Hype to Twitter Storm: News Explosions & Their Impact on Issues, Crises, & Public Opinion*, Amsterdam: Amsterdam University Press, (pp. 333-354).

ბოლო წვდომა: 19-11-2019

https://www.jstor.org/stable/j.ctt21215m0.20?seq=1#metadata_info_tab_contents ;

Claire Wardle (2017 თებერვალი 17), *Fake news. It's complicated*, Medium.

ბოლო წვდომა: 19-11-2019

<https://medium.com/1st-draft/fake-news-its-complicated-d0f773766c79>;

Clint Watts (2018), *Messing with the enemy*, USA, New York: Harpers-Collins Publisher;

Craig Silverman (2016 დეკემბერი 30), *Here Are 50 Of The Biggest Fake News Hits On Facebook From 2016*, BuzzFeed news.

ბოლო წვდომა: 19-11-2019

<https://www.buzzfeednews.com/article/craigsilverman/top-fake-news-of-2016>;

Danny Murphy (2017), *Fake News 101: How to recognize fake news & avoid being fooled by it*, Independently published;

David M. J. Lazer, Matthew A. Baum, Yochai Benkler, Adam J. Berinsky, Kelly M. Greenhill, Filippo Menczer, Miriam J. Metzger, Brendan Nyhan, Gordon Pennycook, David Rothschild, Michael Schudson, Steven A. Sloman, Cass R. Sunstein, Emily A. Thorson, Duncan J. Watts & Jonathan L. Zittrain (2018), *The science of fake news*, *Science*, Vol. 359, Issue 6380, pp. 1094-1096.

მომიებულია: 19-11-2019

<https://www.researchgate.net/publication/323650280> The science of fake news;

Hunt Allcott & Matthew Gentzkow (2017), *Social Media & Fake News in the 2016 Election*, The Journal of Economic Perspectives, Vol. 31, No. 2 , pp. 211-235.

მომიებულია: 19-11-2019

<https://www.jstor.org/stable/44235006>;

Konrad Niklewicz (2017), *Wedding out Fake News: An Approach to Social Media Regulation*, Belgium, Brussels: Wilfried Martens Centre for European Studies;

L. Hasher, D. Goldstein & T. Toppino (1977), *Frequency & the conference of referential validity*, Journal of Verbal Learning & Verbal Behavior, Vol. 16, No.1, pp. 107–112.

მოძიებულია: 19-11-2019

[http://sci-hub.tw/10.1016/S0022-5371\(77\)80012-1](http://sci-hub.tw/10.1016/S0022-5371(77)80012-1) ;

Matthew Gentzkow & Jesse M. Shapiro (2006), *Media bias & reputation*, Journal of political Economy, Vol. 114, No. 2, pp. 280-316.

მოძიებულია: 19-11-2019

<https://www.nber.org/papers/w11664.pdf>;

Robert Chesney & Danielle Citron (2018, დეკემბერი 11), *Deepfakes & the New Disinformation War*, Foreign Affairs.

ბოლო წვდომა: 19-11-2019

<https://www.foreignaffairs.com/articles/world/2018-12-11/deepfakes-and-new-disinformation-war>;

Steven Sseidenberg (2017 წლის იანვარი), *Fake news has long held a role in American history*, ABA journal.

ბოლო წვდომა: 19-11-2019

http://www.abajournal.com/magazine/article/history_fake_news

Tandoc, E. C., Lim, Z. W., & Ling, R. (2017), *Defining “Fake News”*, Digital Journalism, Vol. 6, No.2, pp. 137–153.

მოძიებულია: 19-11-2019

<http://sci-hub.tw/10.1080/21670811.2017.1360143>;

Yochai Benkler, Robert Faris, Hal Roberts, & Ethan Zuckerman (2017, მარტი 3), *Study: Breitbart-led right-wing media ecosystem altered broader media agenda*, Columbia Journalism Review.

ბოლო წვდომა: 19-11-2019

<https://www.cjr.org/analysis/breitbart-media-trump-harvard-study.php>;

მაია ტორაძე და ხათუნა მასისაშვილი (2019), *მედიისა და კომუნიკაციის კვლევის მეთოდები*, თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

მედიის განვითარების ფონდი (MDF) (2017), *მედიაწიგნიერების გზამკვლევი: როგორ ვებრძოლოთ მანიპულაციასა და ყალბ ინფორმაციას*.

ბოლო წვდომა: 11-07-2019

<https://www.mythdetector.ge/sites/default/files/Guidelines-web.pdf>;

მედიის განვითარების ფონდი (MDF) (2017), *მედიაწიგნიერების სასწავლო მასალა*.

ბოლო წვდომა: 10-07-2019

<http://mdfgeorgia.ge/uploads/library/99/file/DW-Publication-web.pdf>;

სანდრო ასათიანი (2011), *სოციალური მედია სკოლაში*, გამომცემლობა: „სანდროს წიგნები“, საქართველო, თბილისი.

ბოლო წვდომა: 12-07-2019

https://www.ph-int.org/shared/attach_get.php?id=64016&key=08586200781872766779dc6fb8e395e4

ყალბი პუბლიკაციები:

ბოლო წვდომა: 19-11-2019 <http://ge.kavkazplus.com/news.php?id=21054#.XP0TYajVLIU>

ბოლო წვდომა: 19-11-2019 <http://ge.kavkazplus.com/news.php?id=21687#.XP0TVajVLIU>

ბოლო წვდომა: 19-11-2019 <http://ge.kavkazplus.com/news.php?id=22857#.XP0TQgjVLIU>

ბოლო წვდომა: 19-11-2019 <http://ge.kavkazplus.com/news.php?id=24031#.XP0TMqjVLIU>

ბოლო წვდომა: 19-11-2019 <http://ge.kavkazplus.com/news.php?id=24491#.XP0TJ6jVLIU>

ბოლო წვდომა: 19-11-2019 <http://ge.kavkazplus.com/news.php?id=24532#.XP0U5KjVLIU>

ბოლო წვდომა: 19-11-2019 <http://ge.kavkazplus.com/news.php?id=24399#.XP0U7KjVLIU>

ბოლო წვდომა: 19-11-2019 <http://ge.kavkazplus.com/news.php?id=23649#.XP0VAKjVLIU>

ბოლო წვდომა: 19-11-2019 <http://ge.kavkazplus.com/news.php?id=23423#.XP0VCKjVLIU>

ბოლო წვდომა: 19-11-2019 <http://ge.kavkazplus.com/news.php?id=22697#.XP0VHKjVLIU>

ბოლო წვდომა: 19-11-2019 <http://ge.kavkazplus.com/news.php?id=23226#.XP0WIqjVLIU>

ბოლო წვდომა: 19-11-2019 <http://ge.kavkazplus.com/news.php?id=23673#.XP0WR6jVLIU>

ბოლო წვდომა: 19-11-2019 <http://ge.kavkazplus.com/news.php?id=23717#.XP0WYKjVLIU>

ბოლო წვდომა: 19-11-2019 <http://timenews.ge/1345--.html>

ბოლო წვდომა: 19-11-2019 <http://timenews.ge/2762--.html>

ბოლო წვდომა: 19-11-2019 <http://timenews.ge/2738--nato-.html>

ბოლო წვდომა: 19-11-2019 <http://timenews.ge/2581--.html>

ბოლო წვდომა: 19-11-2019 <http://timenews.ge/2326--.html>

ბოლო წვდომა: 19-11-2019 <http://timenews.ge/2418--.html>

ბოლო წვდომა: 19-11-2019 <http://timenews.ge/2354--.html>

ბოლო წვდომა: 19-11-2019 <https://www.facebook.com/giorgigauri1968/posts/380860122717020>

ბოლო წვდომა: 19-11-2019 <https://www.lragir.am/2019/05/17/443972/>

ბოლო წვდომა: 19-11-2019 <https://www.lragir.am/2019/05/29/447073/>

ბოლო წვდომა: 19-11-2019 <https://www.lragir.am/2019/05/22/445051/>

ბოლო წვდომა: 19-11-2019 <https://mamul.am/am/news/149024>

ბოლო წვდომა: 19-11-2019 <https://mamul.am/am/news/149199>

ბოლო წვდომა: 19-11-2019 <https://bit.ly/2NT28f3>

ბოლო წვდომა: 19-11-2019 <http://bit.ly/2LjqlsO>

ბოლო წვდომა: 19-11-2019 <https://www.facebook.com/GruziyaArmenia/posts/2251541515162891>

დანართები

დანართი #1



Не удается получить доступ к сайту

Не удалось найти IP-адрес сервера **xronika.am**.

✓ [Выполните диагностику сети в Windows.](#)

DNS_PROBE_FINISHED_NXDOMAIN



დანართი #2



ვენაში, ტურისტულ გამოფენაზე, სომხეთის სტენდზე თბილისის და გერგეთის სამების ფოტოებია წარმოდგენილი



Like Comment Share

42

69 shares

დანართი #3

 **გიორგი გიგაური**
23 იანვარი · 🌐

გამოწერა ...

საგარეო საქმეთა სამინისტროს!
ავსტრიის დედაქალაქში გახსნილ ტურისტულ გამოფენაზე, სომხეთი თბილისისა და გერმანიის სამეზობლო ფოტოგაგებით წარსდგა!
ამ სომხებს რომ კრამიტის დაცურებასთან დაკავშირებით პრობლემები აქვთ, 26 საუკუნეზე მეტია ვიცით, რაც კავკასიაში გადმოსახლდნენ... მაგრამ იქნებ, ჩვენმა დიპლომატებმაც გაიღვიძონ და სტენდი გამოაცვლინონ, ამ უბედურებს!
/გაიზიარეთ და გააზიარეთ!/


დანართი #4



დანართი #5

На самом деле автор провокации обрезал фотографию так, чтобы слово "Georgien" (Грузия) не было видно, а осталось только слово "Armenien" (Армения). !! Кто автор лжи? На обрезанной фотографии стоит лого - азербайджанская буква "Ә". Армяно-грузинская дружба не дает покоя нашим общим соседям. К сожалению, не первый раз...



Like Comment Share

Ruben Sadoyan +47

54 shares

დანართი #6

Time News
8 თებერვალი

გვერდის მოწონება

სკანდალური და საშიში ინფორმაცია, სასწრაფოდ, რუსი ოკუპანტების მიერ ხაშურის ტყის მასივი ოკუპირებულია

TIMENEWS.GE

სკანდალური და საშიში ინფორმაცია, სასწრაფოდ, რუსი ოკუპანტების მიერ ხაშურის ტყის მასივი ოკუპირ


139 17 კომენტარი 448 გაზიარება

მოწონებს კომენტარი გაზიარება

დანართი #7



დანართი #8



დანართი #10

The image shows a screenshot of the website 'КАВКАЗЬ ПЛЮС' (Kavkaz Plus). The main article is titled '«Крунк» объявил о создании «армянской национально-культурной автономии в Абхазии»' (Krunik announced the creation of an Armenian national-cultural autonomy in Abkhazia). The article includes a photo of a crowd holding a flag. A red circle highlights the word 'Крунк' in the article title. The sidebar on the right is titled 'Новостная Лента' (News Feed) and contains several news items with timestamps. At the bottom right, there is a logo for 'Кавказ ПЛЮС' and 'Sayfayz Begeen' with a red circle around it.

დანართი #11

The image shows a travel agency booth for Armenia. The booth features several signs and posters. One sign says 'ARMENIEN' and 'Ihr Weg nach ARMENIEN'. Another sign says 'Studienreisen' and 'Kulturreisen'. There is a large red 'E' logo on the wall. A person in a white shirt is standing in the booth. At the bottom, there is a social media-like interface with a heart icon, a plus icon, and a speech bubble icon, followed by the number '759'. Below that, it says '78 კომენტარი 1,7 ათ. გაზიარება' (78 comments 1.7 thousand shares).

Lragir.am
June 12 at 5:05 PM · 🌐

Թուրքիան արձագանքել է Հայոց
ցեղասպանության թեմայով Հոլանդիայի
ընդունած բանաձևին



LRAGIR.AM
Թուրքիան արձագանքել է Հայոց
ցեղասպանության թեմայով Հոլանդիայի ըն...

Like Comment Share

Lragir.am
June 12 at 11:20 PM · 🌐

Արցախի ԱԳՆ հաղորդագրությունը



LRAGIR.AM
Արցախի ԱԳՆ հաղորդագրությունը
27 տարի առաջ ադրբեջանական զինված կա...

Like Comment Share



**საერთაშორისო კონფლიქტების გაშუქება ქართულ მედიასივრცეში თურქეთისა და სირიელი
ქურთების მაგალითზე**

მარიამ ფრანგიშვილი

ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამა

სოფიკო ტაბატაძე

პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამა

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: mariami.prangishvili102@sps.tsu.edu.ge
sofikotabatadze7@gmail.com

აბსტრაქტი

საერთაშორისო კონფლიქტების გაშუქება მედიასივრცეში არსებით როლს ასრულებს საზოგადოების ინფორმირებაში. დღევანდელი გლობალური პროცესებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია აუდიტორია თვალს ადევნებდეს უცხოეთში მიმდინარე პროცესებს. მეტიც, მსოფლიო პოლიტიკაში მიმდინარე მოვლენებმა, შესაძლოა, გარკვეული გავლენა იქონიოს კონკრეტული ქვეყნის შიდა ვითარებაზე.

ქართულ მედიაში გაშუქებულ ბოლოდროინდელ საერთაშორისო კონფლიქტებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, პოლიტიკური წესრიგისა და ძალთა ბალანსის კუთხით თურქეთსა და სირიელ ქურთებს შორის არსებული სამხედრო დაპირისპირება იყო.

თურქეთსა და სირიელ ქურთებს შორის 2019 წლის ოქტომბრის თვეში მომხდარი სამხედრო დაპირისპირება გავლენას იქონიებდა როგორც მსოფლიო, ისე ახლო აღმოსავლეთის რეგიონში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე. თურქეთის ხელისუფლება ქურთების სახალხო პარტიის ქვედანაყოფს ტერორისტულ დაჯგუფებად მიიჩნევდა და ცდილობდა სირიის საზღვართან თავისუფალი ზონის შექმნას, რათა დაეცვა საკუთარი ქვეყნის განაპირა რეგიონები. კონფლიქტში მომრიგებლის ფუნქცია შეასრულა რუსეთის ფედერაციამ, რომელმაც გაიმყარა პოზიციები ახლო აღმოსავლეთში. შეიარაღებული დაპირისპირებას შესაძლოა გავლენა ჰქონოდა საქართველოს გეოპოლიტიკურ მდგომარეობაზე. არსებობდა ინტერესთა კონფლიქტი საქართველოს ორ პარტნიორ სახელმწიფოს, აშშ-სა და თურქეთს შორის; ამერიკის შეერთებული შტატების მიერ თურქეთისთვის დაწესებული სანქციები უარყოფითად აისახებოდა საქართველოს ეკონომიკაზე. დაეცემოდა თურქული ლირის კურსი, რაც აისახებოდა იმპორტირებული საქონელსა და ემიგრანტების ფულად გზავნილებზე. ექსპერტების შეფასებით კი, არსებობდა საფრთხე, რომ ქურთების დაბომბვის შემდეგ სირიაში არსებული ციხეებიდან გამოქცეულ ტერორისტებს საქართველოსთვის შეეფარებინათ თავი; კვლევის მიზანს წარმოადგენს გავიგოთ თუ რამდენად ობიექტურად და მიუკერძოებლად გაშუქდა ქართულ სატელევიზიო სივრცეში თურქეთსა და სირიელ ქურთებს შორის არსებული დაპირისპირება. საკვლევ ობიექტებად შევარჩიეთ ქართულ სატელევიზიო სივრცეში არსებული კარდინალურად განსხვავებული სარედაქციო პოლიტიკის მქონე მაუწყებლები: „იმედი“ და „მთავარი“. საკვლევ პერიოდად კი მოვინიშნეთ 9-23 ოქტომბერი (2019). გამოყენებული იქნა სოციოლოგიური კვლევის როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი მეთოდი. კვლევის ჰიპოთეზის მიხედვით, მედიასაშუალებებმა მათი სარედაქციო პოლიტიკიდან გამომდინარე განსხვავებული დღის წესრიგი შექმნეს კონფლიქტის გაშუქებით. კერძოდ, სხვადასხვა აქცენტების გაკეთებით ცდილობდნენ საზოგადოების ორიენტირებას მათთვის სასურველი მიმართულებით. კვლევამ ცხადყო, რომ შერჩეულმა მაუწყებლებმა ობიექტურად გააშუქეს თურქეთსა და სირიელ ქურთებს შორის არსებული კონფლიქტი, თუმცა მათი სარედაქციო პოლიტიკიდან გამომდინარე სხვადასხვა ასპექტზე აკეთებდნენ აქცენტს

საკვანძო სიტყვები: კონფლიქტი, გაშუქება, სატელევიზიო მედია, მედიის დღის წესრიგი.

შესავალი

თურქეთსა და ეთნიკურ ქურთებს შორის უთანხმოება ჯერ კიდევ ოსმალეთის იმპერიის დროიდან იწყება. ამის მიზეზი ქურთებში სეპარატისტული იდეების გავრცელება და ცალკე სახელწიფოს შექმნა იყო. 1937-38 წლებში თურქეთში ათიათასობით ქურთი მოკლეს. თურქული ხელისუფლება ქურთებს ოფიციალურად დევნიდა. ქურთები ეთნიკურ უმცირესობას სირიაშიც წარმოადგენენ (მთლიანი მოსახლეობის 9 %). თურქეთის ხელისუფლება მიიჩნევს, რომ მათ სახელმწიფოში აკრძალულ და ტერორისტულ დაჯგუფებებად გამოცხადებული ქურთების სახალხო პარტიის სამხედრო ქვედანაყოფს სირიაში ქურთების მიერ შექმნილი სახალხო თავდაცვის დანაყოფი წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ 1984 წლიდან პარტია თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით ქურთების ავტონომიის შექმნისთვის იბრძვის. თურქეთის ხელისუფლება შიშობს, რომ სირიელი ქურთები, რომლებიც ცდილობენ, სირიის შიგნით თავიანთი კონტროლის ქვეშ არსებული ტერიტორია შექმნან (როგორც ერაცის ქურთისტანი), თურქ ქურთებს იგივე ნაბიჯისკენ წახალისებენ (სვანიძე, 2007). კონფლიქტის დაწყებისას თურქეთის მიზანს წარმოადგენდა სირიის საზღვართან უსაფრთხო ზონის შექმნა, რაც ერთი მხრივ, დაიცავდა თურქეთის სასაზღვრო რეგიონებს ქურთი ტერორისტებისგან, მეორე მხრივ კი, დააბრუნებდა სირიელ ლტოლვილებს სამშობლოში (The Guardian, 2019).

სამხედრო ოპერაცია „მშვიდობის წყარო“ თურქეთის ხელისუფლებამ 2019 წლის 9 ოქტომბერს დაიწყო. ქვეყნის პრეზიდენტმა რეჯეფ ტაიფ ერდოღანმა სოციალურ ქსელ „ტვიტერის“ (twitter) საშუალებით საზოგადოებას სამხედრო მოქმედებების დაწყების შესახებ აცნობა.

თურქეთსა და სირიელ ქურთებს შორის მიმდინარე კონფლიქტმა მსოფლიო პოლიტიკური წესრიგის კუთხით საინტერესო სურათი შექმნა. აშშ და თურქეთი საპირისპირო პოზიციებზე იყვნენ. ამერიკული სანქციები საფრთხეს უქმნიდა თურქეთის ეკონომიკას. სიტუაცია გამწვავდა, როდესაც თეთრმა სახლმა მზადყოფნა გამოთქვა სამხედრო დაპირისპირებაში ჩართულიყო. ევროპული ქვეყნები თურქეთისგან მოითხოვდნენ სამხედრო ოპერაციის შეჩერებას. დიდმა ბრიტანეთმა, საფრანგეთმა და გერმანიამ თურქეთს იარაღის მიწოდება შეუწყვიტა. რუსეთის ფედერაციამ მიმდინარე მოვლენებში მომრიგებლის როლი ითამაშა და რეგიონში პოზიციები გაიმყარა.

მედიის მიერ საერთაშორისო ამბების გაშუქება მნიშვნელოვან როლს ასრულებს საზოგადოების ინფორმირებაში. როგორც იან შოლტე თავის ნაშრომში „მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია“ აღნიშნავს, რომ *“თანამედროვე ისტორია მსოფლიო პოლიტიკის სივრცობრივ ხასიათში მნიშვნელოვანი ცვლილებების მოწმეა. ადგილის, მანძილისა და საზღვრების ძველი გეოგრაფიის გვერდით ფართო შეიქმნა გლობალური განზომილება, სადაც გარკვეული მოვლენები მოკლებულია ადგილმდებარეობას (ისინი შეიძლება მოხდეს დედამიწის ნებისმიერ კუთხეში), მანძილს (მათ წამიერად მთელს პლანეტაზე გავრცელება შეუძლიათ) და საზღვრებს (მათ ძალუბით სხვადასხვა ქვეყანაში გადანაცვლება საზღვრებისგან შეუფერხებლად)”* (შოლტე, 2004. გვ. 195). მსოფლიოს საზღვრები დაპატარავდა და ერთ სოფლად იქცა. დედამიწის ერთ კუთხეში მიმდინარე მოვლენებმა, შეიძლება, გამოძახილი სხვაგან ჰპოვოს. განსაკუთრებით, კონფლიქტებისა და სამხედრო დაპირისპირების დროს. საომარი ვითარება გავლენას ახდენს

მსოფლიო პოლიტიკურ წესრიგზე მით უმეტეს მაშინ, როცა პროცესებში ლიდერი სახელმწიფოები არიან ჩართულნი.

მასმედიის მიერ ახალი ამბების სწორად და ობიექტურად გაშუქებას დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივი აზრისა და განწყობების შექმნაში. ამდენად, საინტერესოა თუ რა კუთხით და როგორ გაშუქდება მოვლენები, რაზე გაკეთდება აქცენტები და როგორ მიეწოდა ყოველივე ეს აუდიტორიას. მედია არ ეუბნება მაყურებელს რა უნდა იფიქროს, არამედ განუსაზღვრავს რაზე უნდა იფიქროს. სწორედ ამიტომ თითოეული მედიასაშუალება საინფორმაციო გამოშვებებში არჩევს ახალი ამბების გარკვეულ თანმიმდევრობას, რითაც საზოგადოებას წარუდგენს უფრო მნიშვნელოვან, ან ნაკლებად მნიშვნელოვან მოვლენებს. შესაბამისად, მაყურებლისთვის პრიორიტეტულია ის ახალი ამბავი, რომელიც პირველად მიაწოდეს. ასე იქმნება მედიის მიერ დღის წესრიგი. აღსანიშნავია, რომ თითოეული მედია თავისი სარედაქციო პოლიტიკის შესაბამის დღის წესრიგს ქმნის. ერთისთვის უფრო მნიშვნელოვანია შიდა ფაქტები და მოვლენები, ხელისუფლებისადმი კრიტიკული შეფასებები, ამიტომ საერთაშორისო მოვლენებს ნაკლებ დროსა და ყურადღებას უთმობს. სხვა სამაუწყებლო კომპანია შესაძლოა მეორეხარისხოვანი ახალი ამბების საშუალებით მთავარი მოვლენების გადაფარვას ცდილობდეს (McCombs & Shaw, 1972).

საკვლევ თემად თურქეთისა და სირიელი ქურთების დაპირისპირების არჩევა განაპირობა კონფლიქტის ხასიათმა და გავლენამ საერთაშორისო ურთიერთობებზე; კონფლიქტში ჩართულ აქტორებს შესაძლოა ზეგავლენა ჰქონოდათ საქართველოს ეკონომიკასა და საგარეო ურთიერთობებზე. დაპირისპირების დაწყებიდანვე ეს თემა საერთაშორისო არენაზე განხილვის მთავარი საგანი გახდა. პროცესებში ჩაერთნენ ამერიკის შეერთებული შტატები და ევროპის წამყვანი სახელმწიფოები. ე.წ. მომრიგებლის როლი მალევე მოირგო რუსეთის ფედერაციამ. აშშ-სა და თურქეთს შორის არსებულმა დამაბულმა ურთიერთობამ კი კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა ნატოს ერთიანობა.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა დაგვედგინა რამდენად ობიექტურად გააშუქეს მედიასაშუალებებმა („იმედი“; „მთავარი“) თურქეთსა და სირიელ ქურთებს შორის მიმდინარე სამხედრო კონფლიქტი. სარედაქციო პოლიტიკიდან გამომდინარე ხომ არ იქნა მაუწყებლების მიერ აღნიშნული კონფლიქტი სათავისოდ გამოყენებული, როგორც გადაფარვის საშუალება. კვლევის პროცესის გარკვეული მიმართულებით წარმართვის მიზნით შევიმუშავეთ საკვლევ კითხვები. 1 რა დრო დაუთმეს საინფორმაციო ბადეში კონფლიქტის გაშუქებას; 2 რა შეფასებები მიეცა მედიასივრცეში აღნიშნულ კონფლიქტს; 3 რა ზეგავლენას ახდენდა კონფლიქტი საინფორმაციო დღის წესრიგის შექმნაზე; კვლევის კითხვებიდან და დაკვირვების ობიექტებიდან გამომდინარე, შევიმუშავეთ ჰიპოთეზა. შერჩეული ტელევიზიები მათი დაპირისპირებული სარედაქციო პოლიტიკის მიხედვით განსხვავებული კუთხით გააშუქებდნენ თურქეთისა და სირიელი ქურთების კონფლიქტს.

კვლევის პროცესში თეორიულ ჩარჩოდ მოვიხმეთ პაოლო მანჩინისა და დენიელ ჰელინის პოლარიზებულ-პლურალისტური მედიამოდელი და მაქს მაკომბისა და დონალდ შოუს დღის წესრიგის თეორია. პოლარიზებულ-პლურალისტური მედიამოდელი გულისხმობს, რომ არსებობს განსხვავებული აზრი, თუმცა მედიასაშუალებები მკვეთრად მიკერძოებული არიან პოლიტიკური

კუთხით. დღის წესრიგის თეორია კი ამტკიცებს მედიასამუალებათა მიერ ინფორმაციის მიწოდების თავისებურებას - ახალი ამბების გარკვეული რიგითობით გაშუქებას და ამაზე დაყრდნობით საზოგადოებისთვის პრიორიტეტების შექმნას.

ლიტერატურის მიმოხილვა

დღესდღეობით მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებიდან მოსახლეობა ყველაზე ხშირად ტელევიზიას იყენებს და ენდობა. ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებაში გაზრდილია მედიის როლი და მასთან ერთად იმატებს ე.წ. არატრადიციული, ონლაინმედიის გავლენა. თუმცა ამ უკანასკნელს უფრო მეტად განვითარებულ ქვეყნებში იყენებენ, სადაც მაღალია ინტერნეტზე წვდომა. რაც შეეხება ზოგად სურათს, მსოფლიოს მოსახლეობის უმეტესობისთვის სწორედ ტელევიზიაა ის უმნიშვნელოვანესი წყარო, რომლიდანაც ინფორმაციას იღებს. ენდრიუ ჰეივუდი თავის წიგნში „პოლიტიკა“ აღნიშნავს, რომ *„ტელევიზიისა და ინტერნეტში ჩართულთა რიცხვის განუხრელი ზრდის შედეგად, საინფორმაციო საშუალებებმა ლამის თითოეული ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში დაიდოს ლომის წილი. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ დღეს ხალხი უფრო მეტადაა მიჯაჭვული მედიაზე, ვიდრე ეს აქამდე იყო. მაგალითად, ტელევიზია ახლა უფრო მნიშვნელოვანი წყაროა პოლიტიკური ინფორმაციის თვალსაზრისით, ვიდრე ნებისმიერი თავყრილობა თუ ნაბეჭდი ტექსტი“* (ჰეივუდი, 2004. გვ. 304).

მეცნიერებმა მაქს მაკომბმა და დონალდ შოუმ 1968 წლის ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნებზე დაყრდნობით შექმნეს დღის წესრიგის თეორია. თეორიის მიხედვით, მედიის შინაარსი აყალიბებს საზოგადოების დღის წესრიგს. ადამიანები მიდრეკილნი არიან ილაპარაკონ იმაზე, რაც ნახეს და მოისმინეს დღის მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში ან წაიკითხეს გაზეთის პირველ გვერდზე. მედია ამბებისა და სათაურების შერჩევით ეუბნება პუბლიკას რაზე უნდა იფიქროს და არა როგორ უნდა იფიქროს. მაკომბმა და შოუმ ორი ასპექტი გამოყვეს, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს მედიის დღის წესრიგის შექმნაში.

1. მედია და პრესა არ ასახავს რეალობას. ისინი ფილტრავენ და გარკვეულ ფორმას აძლევენ ახალ ამბებს.
2. მედიის მიერ განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება გარკვეულ საკითხებზე აფიქრებინებს საზოგადოებას, რომ სწორედ ესენია უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე სხვები. (McCombs; Shaw, 1972)

დღის წესრიგის შექმნის კუთხით მნიშვნელოვანია საინფორმაციო გამოშვებებში ახალი ამბების თანმიმდევრობა. კონკრეტული სამაუწყებლო კომპანია ყოველთვის იმ ახალ ამბავს უშვებს პირველ სიუჟეტად, რომელიც მისთვის ხელსაყრელია. ასევე, უფრო მეტ დროს უთმობს და ფართო კუთხით წარმოაჩენს მოვლენას. საზოგადოებისთვის კი სწორედ ეს მოვლენა ხდება პრიორიტეტული და ყურადღების ცენტრში ექცევა, მეტად ახსოვს და განიხილავს ან ფიქრობს. ამის ფონზე დღის სხვა ამბები, რომლებიც შეიძლება უფრო მნიშვნელოვანი იყოს, იჩრდილება, ნაკლებად აქტუალური ხდება. მეორეხარისხოვანი ინფორმაცია ფარავს პირველხარისხოვანს.

მედია გავლენას ახდენს საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე. ადამიანები, რომლებიც ინფორმაციას მხოლოდ ტელევიზიიდან იღებენ, მასზე დამოკიდებულნი ხდებიან. მედიის ჩარჩოში მოქცევის თეორიის მიხედვით კი ახალი ამბები ფილტრში ტარდება. ფილტრს ძირითადად მედიამფლობელი და მისი სარედაქციო პოლიტიკა წარმოადგენს. ამდენად, ერთი კონკრეტული ამბავი ტელევიზიებმა განსხვავებული კუთხით შეიძლება გააშუქონ. საზოგადოება კი იღებს მედიისგან მიწოდებულ ვერსიას (Wilcox & Cameron 1986).

პაოლო მანჩინი და დენიელ ჰელინი თავიანთ ნაშრომში „მედიასისტემების შედარება“ განიხილავენ მედიტერიანულ ანუ პოლარიზებულ-პლურალისტულ მოდელს. მოდელის მიხედვით, შექმნილია მედიაკლიმატი, რომელიც პლურალისტულია, რაც ნიშნავს, რომ არ იკრძალება განსხვავებული აზრის არსებობა და მისი მედიით გადაცემა. მიღებულია ხელისუფლებისადმი კრიტიკული შეფასებები და კანონმდებლობა უზრუნველყოფს სიტყვის თავისუფლებას. პოლარიზების კუთხით კი არსებობს ურთიერთდაპირისპირებული სარედაქციო პოლიტიკის მქონე მედიასაშუალებები, რომლებიც ერთ კონკრეტულ მოვლენას სრულიად განსხვავებული, მათთვის ხელსაყრელი რაკურსით აშუქებენ (Mancini & Hallin 2004). პოლარიზმის მაღალი, ურთიერთსაპირისპირო დონე ხელს უშლის საზოგადოებას ამბის რეალურ არსთან წვდომაში. თითოეული მედიასაშუალების მაცურებელს განსხვავებული შეხედულება ექნება მოვლენაზე და დაიკარგება რეალობის აღქმა - თუ რა მოხდა სინამდვილეში.

მეთოდოლოგია

საკვლევ ობიექტებად ავარჩიეთ „იმედი“ და „მთავარი“, მათი ურთიერთდაპირისპირებული სარედაქციო პოლიტიკის გამო. 9-23 ოქტომბრის ფარგლებში ვიკვლევდით ზემოხსენებული მაუწყებლების საინფორმაციო გამოშვებებსა და კვირის შემაჯამებელ გადაცემებში კონფლიქტის შესახებ გასულ სიუჟეტებს.

„მთავარი“ – 12, 15, 18 და 21 საათიანი საინფორმაციო გამოშვებები; კვირის შემაჯამებელი - “POST FACTUM”.

„იმედი“ – 11, 14, 17 და 20 საათიანი საინფორმაციო გამოშვებები; კვირის შემაჯამებელი - „იმედის კვირა“.

საკვლევ საკითხის სიღრმისეულად შესწავლის მიზნით, განისაზღვრა სოციოლოგიური კვლევის ერთ-ერთი მეთოდის - თვისებრივი კონტენტ-ანალიზის გამოყენება. კერძოდ, გავანალიზეთ საკვლევ თემაზე „მთავარსა“ და „იმედში“ გასული მედიანარატივი, თუ რა საკვანძო სიტყვებს იყენებდნენ ტელევიზიები და რა შეფასებებს უკეთებდნენ ისინი მიმდინარე მოვლენებს. კვლევის ამ მეთოდის საშუალებით ჩვენ დავადგინეთ რამდენად ობიექტურად და მიკერძოების გარეშე გააშუქა თითოეულმა ტელევიზიამ ეს კონფლიქტი, ასევე, რა ტენდენციები გამოიკვეთა გაშუქების პროცესში.

კვლევის რეპრეზენტატულობის მიზნით გამოვიყენეთ რაოდენობრივი კვლევის მეთოდი. სტატისტიკური მონაცემების სახით წარმოვადგინეთ თურქეთსა და სირიელ ქურთებს შორის კონფლიქტის შესახებ გასული სიუჟეტების რაოდენობა და მათი თანაფარდობა მთლიანად

საკვლევ პერიოდში გაშვებული გადაცემების რაოდენობასთან. ასევე, დავადგინეთ საეთერო ბადეში რა დროს უთმობდა „მთავარი“ და „იმედი“ ამ კონფლიქტის გაშუქებას და რა თანაფარდობაშია ეს მაჩვენებელი საინფორმაციო გამოშვებების მთლიან დროსთან. კვლევის პროცესში ვითვლიდით რიგითობის მიხედვით რომელ ადგილზე უშვებდა საინფორმაციო გამოშვებებში თითოეული ტელევიზია სამხედრო კონფლიქტის შესახებ ახალ ამბებს.

საკვლე სამუშაოების დასრულების შემდეგ დავიწყეთ მონაცემთა დამუშავების ეტაპი. მოხდა მიღებული მონაცემების კატეგორიებად დაყოფა. გამოიყო ორი ჯგუფი. 1. თვისებრივი კვლევის შედეგები (1.1 ინფორმაციის გაშუქება „იმედზე“; 1.2 ინფორმაციის გაშუქება მთავარზე; 1.3 საერთო ასპექტები 1.4 კვირის შემთხვევითი გადაცემები); 2. რაოდენობრივი კვლევის შედეგები.

1. თვისებრივი კვლევის შედეგები

თურქეთსა და სირიელ ქურთებს შორის არსებული სამხედრო კონფლიქტი ობიექტურად გაშუქდა „იმედისა“ და „მთავარის“ მიერ. არ იგრძნობოდა რომელიმე მხარისადმი მიკერძოება და განსაკუთრებული სიმპათიები. ნარატივი, რომელიც გაამართლებდა ეთნიკური ქურთების ან თურქების მოქმედებებს. მიუხედავად ამისა, იყო რიგი განსხვავებები გამოყენებული კადრებისა და საკვანძო სიტყვების მხრივ.

1.1 კონფლიქტის გაშუქება „იმედზე“

ქართულ ტელევიზიაში შერჩეული ჩვენი საკვლევი ობიექტებიდან პირველად „იმედმა“ 9 ოქტომბრის 11-საათიან გამოშვებაში გააშუქა, როგორც თურქეთის ავიაიერიში სირია-ერაყის საზღვარზე. „იმედზე“ კონფლიქტი უფრო სიღრმისეულადაა გაშუქებული. მიმოხილულია რეგიონში ომის დაწყებამდე არსებული მდგომარეობა. ასევე გაანალიზებულია ქურთებისა და თურქეთის კონფლიქტი საქართველოსთან მიმართებაში, როგორც ეკონომიკურ, ისე პოლიტიკურ ასპექტში. „იმედის“ სიუჟეტებში ქართველი ექსპერტები აფასებდნენ ქვეყნის გეოპოლიტიკურ მდგომარეობას მიმდინარე პროცესების ფონზე. განხილული იყო ურთიერთობები საერთაშორისო პარტნიორებთან მიმართებაში. კერძოდ, როგორ უნდა მოქცეული საქართველო, თუკი მის ორ მოკავშირე სახელმწიფოს, თურქეთსა და აშშ-ს შორის, მდგომარეობა გამწვავდებოდა. რა შედეგს მოიტანდა რუსეთის მიერ პოზიციების განმტკიცება რეგიონში და ა.შ. იმედზე შეინიშნება წყაროთა ბალანსი. კერძოდ, გარდა ქართველი თუ საერთაშორისო ექსპერტებისა და პოლიტიკოსების შეფასებებისა, წარმოდგენილია ქურთული მხარე. საინფორმაციო გამოშვებებში გასულ სიუჟეტებში ვხვდებით ქურთი დევნილებისა და შეიარაღებული ფორმირებების ლიდერების კომენტარებს. გარდა ამისა, სამაუწყებლო კომპანიამ ვრცელი ინტერვიუ ჩაწერა საქართველოში თურქეთის სრულუფლებიან ელჩთან ფატმა სერენ იაზაგანთან. აღსანიშნავია ისიც, რომ „იმედი“ ამ კონფლიქტთან დაკავშირებული ახალი ამბების გაშუქებისას აქცენტს აკეთებდა სამხედრო ოპერაციის შედეგად დაღუპულ მშვიდობიან მოსახლეობაზე – „მშვიდობის წყარომ მშვიდობიანი მოსახლეობა იმსხვერპლა“. „იმედის“ ეთერში თურქეთის ქმედებები შეფასებულია, როგორც სხვა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა (სიტყვებით: თავდასხმა, შეჭრა). „იმედი“ არ ერიდება ისეთი ხისტი ტერმინების გამოყენებას, როგორცაა ავიაიერიშები, მასირებული დაბომბვა, კრიზისული სიტუაცია ჰუმანიტარული კრიზისი და ა.შ. „იმედის“ საინფორმაციო

გამოშვებებში ნათქვამია, რომ თურქეთისთვის ანტიტერორიზმთან ბრძოლა საბაზი იყო საომარი მოქმედებების დასაწყებად. თურქებისა და სირიელი ქურთების კონფლიქტის შესახებ გასულ სიუჟეტები გამოირჩევა კადრების მრავალფეროვნებით. კერძოდ, ჩანს დაბომბვის კადრები, დანგრეული შენობები, დაზარალებული მოსახლეობის მძიმე ყოფა.

1.2 კონფლიქტის გაშუქება „მთავარზე“

„მთავარი“ საზოგადოებას მშრალ ფაქტებს აწვდიდა მიმდინარე პროცესების შესახებ. საუბარი შეეხებოდა მხოლოდ მხარეთა მიერ განხორციელებულ მოქმედებებს, არ იყო შეფასებული, განხილული და გაანალიზებული განვითარებული მოვლენები. „მთავარის“ საინფორმაციო გამოშვებებში თურქეთისა და სირიელი ქურთების კონფლიქტის შესახებ გასულ სიუჟეტებში ნაკლებად იყო დაცული წყაროთა ბალანსი. ძირითადად წარმოდგენილი იყო თურქული მხარის კომენტარები და საერთაშორისო შეფასებები. „მთავარზე“ კონფლიქტი ვიზუალურად მწირი კადრებით იყო გაშუქებული. ხშირად მეორდებოდა ერთი და იგივე ეპიზოდები.

„იმედისგან“ განსხვავებით, „მთავარზე“ გაშუქდა შალვა ნათელაშვილის აქცია თურქეთის საელჩოსთან. ლეიბორისტული პარტიის ლიდერი მოითხოვდა, თურქეთს შეეწყვიტა აგრესია და სოლიდარობას უცხადებდა ქურთ ხალხს. ასევე ყურადღება გამახვილებული იყო კონფლიქტის შემდგომ სირიელი ლტოლვილების უფლებებზე, თუ როგორ აიძულებდა მათ თურქეთის ხელისუფლება ე.წ. „უსაფრთხოების ზონაში“ დაბრუნებას და ამით საფრთხეს უქმნის მათ სიცოცხლეს.

1.3 საერთო ასპექტები

რაც შეეხება საერთო ასპექტებს, ორივე ტელევიზია ყურადღებას ამახვილებდა საერთაშორისო მოლაპარაკებებზე, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის განცხადებებზე, შუქდებოდა ერდოღანის ყველა გამოსვლა, ასევე, ვლადიმირ პუტინის შეფასებები, თურქეთისა და რუსეთის პირველ პირთა შეხვედრა, დადებული საზავო ხელშეკრულებები, ზავის დარღვევის ურთიერთბრალდებები. გამოყენებული ტერმინოლოგიის მხრივ, ორივე ტელევიზია მეტ-ნაკლებად მსგავს საკვანძო სიტყვებს იყენებდა, როგორებიცაა: სამხედრო ოპერაცია, სამხედრო მოქმედებები, საომარი მოქმედებები, დესტაბილიზაცია, შეიარაღებული დაჯგუფება, სეპარატისტული ძალები. აღსანიშნავია ისიც, რომ მთავარზე ქურთები გაცილებით ხშირად მოიხსენიებოდნენ, როგორც ტერორისტები და სეპარატისტები, ვიდრე იმედზე. ეს უკანასკნელი მათ ქურთი მებრძოლების სახელით მოიხსენიებდა.

1.4 კვირის შემაჯამებელი გადაცემები

„იმედის“ კვირის შემაჯამებელ გადაცემაში არ გასულა კონფლიქტის შესახებ სიუჟეტი რაც მოულოდნელია იმ ფონზე, როდესაც ამ მაუწყებელმა საკმაოდ დიდი დრო დაუთმო სამხედრო დაპირისპირების გაშუქებას „მთავარისგან“ განსხვავებით. „იმედის კვირაში“ ძირითადად შუქდებოდა შიდა პოლიტიკური ვითარება, ქვეყნის ეკონომიკური მიღწევები საერთაშორისო ასპარეზზე და სამთავრობო წარმატებები.


რაც შეეხება „მთავარის“ „POST FACTUM“-ს, აქ ცალსახად დაგმობილია თურქეთის ქმედებები და შეფასებულია, როგორც მეზობელი ქვეყნის ტერიტორიის დაპყრობა ბუფერული ზონის შექმნის მიზნით. ნახსენებია სირიის ოკუპაცია, ქურთების უთანასწორო ბრძოლა თურქების შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ. სიუჟეტის ხანგრძლიობა დაახლოებით 12 წუთია. დაცულია ბალანსი, რაც გამოიხატება წყაროთა მრავალფეროვნებაში. წარმოდგენილია თურქეთში მცხოვრები სირიელი ლტოლვილებისა და უშუალოდ თურქი მოსახლეობის კომენტარები. ბოლოს სიუჟეტის ავტორი თენგო გოგოტიშვილი აკეთებს კონფლიქტის შეფასებას, მიმოიხილავს ვითარებას მსოფლიო ძალთა ბალანსისა და პოლიტიკური წესრიგის კუთხით. გაანალიზებულია მიმდინარე მოვლენების ფონზე საქართველოს ვითარება და როლი რეგიონალურ პოლიტიკაში, ასევე, მოკავშირე ამერიკის შეერთებული შტატებისა და ჩრდილოელი მეზობლის, რუსეთის ფედერაციის როლი განვითარებულ პროცესებში.

2. რაოდენობრივი კვლევის შედეგები


რაოდენობრივი კვლევა მოიცავს „იმედისა“ და „მთავარის“ მიერ გადაცემებში გაშვებული სიუჟეტების რაოდენობას კონფლიქტის შესახებ. სიუჟეტების ხანგრძლიობასა და დათმობილ დროს. ასევე, ახალი ამბების თანმიმდევრობას საინფორმაციო გამოშვებებში.

საკვლევ პერიოდში „იმედზე“ გასული 66 საინფორმაციო გადაცემიდან კონფლიქტის შესახებ სიუჟეტი 35 მათგანში გავიდა (იხ. ცხრილი №3). საერთო ჯამში „იმედმა“ კონფლიქტის გაშუქებას 98.3 წთ დაუთმო (იხ. ცხრილი №4). ხანგრძლიობის კუთხით გადიოდა 8 ან 6 წუთიანი სიუჟეტები და მიმოხილული იყო მიმდინარე მოვლენები. „იმედზე“ თურქებისა და სირიელი ქურთების კონფლიქტი გადიოდა როგორც უცხოეთის ამბების ბლოკში, ისე საინფორმაციო გადაცემის ძირითად ნაწილში. მხოლოდ ერთხელ დაფიქსირდა შემთხვევა 13 ოქტომბრის 14:00 საათიან გამოშვებაში, როცა „ქრონიკა“ ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე კონფლიქტის გაშუქებით დაიწყო. სხვა შემთხვევაში საინფორმაციო გამოშვების ძირითად ნაწილში მე-5 ან მე-6 სიახლე იყო. თუ უცხოეთის ამბების ბლოკში ხვდებოდა, აქ ძირითადად პირველი ადგილი ეკავა (იხ. ცხრილი №2).

66 საინფორმაციო გადაცემიდან „მთავარზე“ კონფლიქტი 37 მათგანში გაშუქდა (იხ. ცხრილი №3). საერთო ჯამში კონფლიქტს 60 წუთი დაეთმო (იხ. ცხრილი №4.) მაუწყებლის საინფორმაციო გამოშვებებში თურქეთისა და სირიელი ქურთების სამხედრო დაპირისპირება ყოველთვის უცხოეთის სიახლეების ბლოკში გადიოდა და სიუჟეტთა ხანგრძლიობა 2-3 წუთი იყო. ახალი ამბების თანმიმდევრობის კუთხით კი, „მთავარზე“ კონფლიქტი უცხოეთის ამბების ბლოკში გადიოდა და მას 26-ჯერ დაეთმო პირველი ადგილი, 9-ჯერ მეორე, ხოლო 2-ჯერ გავიდა მესამე ადგილზე (იხ. ცხრილი №1).





ცხრილი: №1




ცხრილი: №2

ცხრილი №3 საერთო გადაცემებში იმ გადაცემების წილი, რომლებშიც კონფლიქტის შესახებ ინფორმაცია გაშუქდა



ცხრილი №4 წუთობრივი მაჩვენებელი



დასკვნა

კვლევამ აჩვენა, რომ მიუხედავად ურთიერთდაპირისპირებული სარედაქციო პოლიტიკისა, შერჩეულმა ტელემაუწყებლებმა, „მთავარმა“ და „იმედმა“ ობიექტურად და რომელიმე მხარისადმი მიუკერძოებლად გააშუქეს თურქეთისა და სირიელი ქურთების კონფლიქტი. გამუქების დროს არ იგრძნობოდა რომელიმე მხარისადმი მიმხრობა ან, პირიქით, დადანაშაულება. ზუსტად იყო გადმოცემული საერთაშორისო შეფასებები, თანმიმდევრულად იყო ასახული მოვლენები და ხდებოდა ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტებისა თუ დეტალების ჩვენება.

განსხვავებები შეინიშნებოდა წყაროთა მრავალფეროვნების კუთხით. „იმედის“ ეთერში, გარდა თურქული მხარისა, წარმოდგენილი იყო ქურთი სამხედროების განცხადებები. ვრცლად იყო მიმოხილული მიმდინარე პროცესები და ექსპერტების მიერ გაანალიზებული იყო საქართველოსთან მიმართებაში. კადრების კუთხით „იმედზე“ გასული სიუჟეტები, „მთავართან“ შედარებით მრავალფეროვანი იყო. გამუქების მსგავსი სტილით არ გამოირჩეოდა „მთავარი“. არხის საინფორმაციო გამოშვებებში მხოლოდ ფაქტები და მშრალი ინფორმაცია მიეწოდებოდა მაყურებელს. თუკი „ქრონიკა“ ხშირად გამოშვების ძირითად ნაწილში უშვებდა სიუჟეტებს კონფლიქტის შესახებ, „მთავარი“ მოვლენებს მხოლოდ უცხოეთის ახალი ამბების ბლოკში აშუქებდა.

კვირის შემაჯამებელი გადაცემებზე დაკვირვებით მივიღეთ უცნაური შედეგი. იმის ფონზე, რომ „იმედი“ რეგულარულად აშუქებდა მოვლენებს და საკმაოდ დიდ დროს უთმობდა, „იმედის კვირაში“ არცერთი სიუჟეტი არ გასულა კონფლიქტთან დაკავშირებით. ხოლო „მთავარმა“, რომელიც მშრალი ფაქტების გამუქების გამოირჩეოდა, „POST FACTUM“-ში ვრცელი სიუჟეტი მიუძღვნა თურქებსა და სირიელი ქურთების სამხედრო დაპირისპირებას. ვფიქრობთ, რომ „იმედმა“ აქცენტი ყოველდღიურ საინფორმაციო გამოშვებებზე გააკეთა და კვირის შემაჯამებელ გადაცემაში სარედაქციო პოლიტიკიდან გამომდინარე, მისთვის უფრო მნიშვნელოვან თემებს მეტი

დრო დაუთმო. კერძოდ, სამთავრობო მიღწევებსა და ოპოზიციის კრიტიკას. „მთავარის“ შემთხვევაში კი პირიქით, ის დრო, რაც ვერ დაეთმო საინფორმაციო გამოშვებებში კონფლიქტს, „POST FACTUM“-ში ვრცლად და საფუძვლიანად მიმოიხილეს.

თურქებისა და სირიელი ქურთების კონფლიქტის გაშუქებისას საინტერესოა მაუწყებლების მიერ სიუჟეტებისთვის დათმობილი დრო და რიგითობა საინფორმაციო გამოშვებებში. აქ შეიძლება ვისაუბროთ „დღის წესრიგისა და განაწესის“ თეორიაზე. „იმედი“ და „მთავარი“ განსხვავებულ დღის წესრიგს აყალიბებდნენ. „იმედის“ საინფორმაციო გამოშვებებში კონფლიქტის გაშუქებას დიდი დრო ეთმობოდა და რიგითობის მხრივ მოწინავე პოზიციებზე იყო, „მთავარზე“ კი მხოლოდ უცხოეთის ამბების ბლოკში ხვდებოდა და გაცილებით ნაკლები დროც ეთმობოდა.

ორივე ტელევიზიამ ობიექტურად გააშუქა თურქებსა და სირიელ ქურთებს შორის კონფლიქტი, თუმცა საზოგადოებას განსხვავებული დღის წესრიგი შესთავაზა საკუთარი პრიორიტეტებიდან გამომდინარე. ეს აიხსნება თეორიულ ჩარჩოდ მოხმობილი პოლარიზებულ-პლურალისტული მედიამოდელით, რომლის მიხედვით, ურთიერთადპირისპირებული სარედაქციო პოლიტიკის მქონე მაუწყებლები მეორეხარისხოვან მოვლენებს საკუთარი მიზნების მიხედვით იყენებენ.

ბიბლიოგრაფია

სვანიძე, მ. (2007) „თურქეთის ისტორია“. თბილისი: „არტანუჯი“.

უილკოსი დენის, კამერონი გლენ. (2011). „საზოგადოებასთან ურთიერთობა. სტრატეგია და ტაქტიკა.“ თბილისი: „დიოგენე“.

ჰეივუდი ე. 2004. პოლიტიკა - მასმედია და პოლიტიკური ბერკეტები. თბილისი. „საქართველოს მაცნე“.

შოლტე, ი. (2004) „მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია“. წიგნში თურმანიძე, თ.(რედ) გვ.195 „საერთაშორისო ურთიერთობების თეორია/ქრესტომათია“. თბილისი: სამოქალაქო ინიციატივების ინსტიტუტი.

Mancini, P., & Hallin, D. (2004). *Comparing Media Systems: Three Models of Media and Politics*. Cambridge: Cambridge University Press.

McCombs, M. E, & Shaw, L.D. (1972). "The agenda-setting function of mass media". *The Public Opinion Quarterly*. (pp. 176-187). Oxford: Oxford University Press.

Sibert, F.S., Peterson, T., & Schram, W. (1984). *Four Theories of the Press: The Authoritarian, Libertarian, Social Responsibility, and Soviet Communist Concepts of What the Press Should Be and Do*. Urbana: University of Illinois Press.

“The Kurds have faced their own ‘endless war’. And this is a dark new chapter”. (editorial) “The Guardian”.
(14.10.2019). <https://www.theguardian.com/commentisfree/2019/oct/14/kurds-endless-war-turkey-erdogan>.
(01.02.2020)



არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თეორიული საფუძვლები, ტენდენციები და ქართული
მოდელი

სალომე აბულაშვილი

სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამა
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: saloabulashvili@gmail.com

აბსტრაქტი

დღეს, მსოფლიოში სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში, ერთ-ერთ მნიშვნელოვან განსახილველ საკითხს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება წარმოადგენს. ისტორიული წარსულის გათვალისწინებით, ამ თემისადმი განსაკუთრებული ინტერესი მსოფლიოში მე-19 საუკუნიდან გაჩნდა და დღემდე აქტუალურია მისი განვითარება და პერსპექტივები. საინტერესოა, თუ რა ეტაპები გაიარა კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვებისადმი არსებულმა თეორიულმა და პრაქტიკულმა მიდგომებმა.

მნიშვნელოვნად მიმაჩნია, აღნიშნული საკითხის მიმოხილვა, როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით და მათ შორის არსებული კავშირების დადგენა. საყურადღებოა, თუ რა გავლენა იქონია მსოფლიო თეორიულმა და პრაქტიკულმა გამოცდილებამ ქართული მოდელის ჩამოყალიბებაზე და რა ეტაპზეა ახლა ქართული მართლმსაჯულება. აქედან გამომდინარე, ნაშრომის მიზანს წარმოადგენს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თეორიული საფუძვლების შესწავლა, მათი გაანალიზება თანამედროვე ტენდენციების ჩამოყალიბებასთან მიმართებაში და ქართული მოდელის განხილვა. კვლევის ამოცანებია: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თეორიული საფუძვლების საწყისების შესწავლა, მსოფლიოში არსებული თანამედროვე ტენდენციების გაანალიზება, ადგილობრივი პრაქტიკის შესწავლა, ადგილობრივი პრაქტიკის შესაბამისობის გაანალიზება თანამედროვე ტენდენციებთან მიმართებაში.

მიღებული შედეგების მიხედვით, იკვეთება ისტორიული პარალელები საერთაშორისო და ადგილობრივ პრაქტიკაში „ნულოვანი ტოლერანტობის“ პოლიტიკის განხორციელებაში. ასევე, მნიშვნელოვანი საკითხია ევროპის იუვენალური სისტემის გამოცდილების გაზიარება ქართულ მოდელში და არსებული შედეგები, რომელიც, ამ ეტაპზე, დადებითად შეგვიძლია შევაფასოთ. საყურადღებო საკითხია არასრულწლოვნის მიერ მიყენებული ზიანის გაცნობიერება, სისტემის მიერ მისი საჭიროებების დანახვა, ვალდებულებები და თემის ჩართულობა სისტემის განვითარებაში, რომელიც ნაშრომში დეტალურად იქნება განხილული.

საკვანძო სიტყვები:

არასრულწლოვანი, მართლმსაჯულება, საერთაშორისო სამართალი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ქართული მოდელი.

შესავალი

საკითხის აქტუალობა

დღეს მსოფლიოში ერთ-ერთ მნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების ინტერესების დაცვა და მათზე მორგებული სახელმწიფო პროგრამები წარმოადგენს. მნიშვნელოვნად მიმაჩნია, არსებული თეორიული მოდელები და პარადიგმები, რომლის საფუძველზეც ქვეყნები იმუშავენ პრაქტიკულ მიდგომებს. საერთაშორისო კანონმდებლობის მიხედვით, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნები განსაკუთრებული დაცვის ობიექტად არიან მიჩნეულნი, რადგან მათ მიმართ განსაკუთრებული მიდგომა და ჭეშმარიტი ინტერესების დაცვა უშუალოდ აისახება

ბავშვების განვითარებასა და სამოქალაქო საზოგადოებაში შესაბამისი ადგილის დაკავებაზე (საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი, 2019).

მნიშვნელოვნად ვთვლი, განვიხილოთ, თუ როგორ მუშაობს საქართველოში აღდგენითი მართლმსაჯულება და რამდენად მორგებულია დღევანდელი მართლმსაჯულება ბავშვებზე, რომლებიც ამ სფეროში ერთ-ერთ მოწყვლად ჯგუფს წარმოადგენენ. აღნიშნული საკითხის სიღრმისეულად შესასწავლად საჭიროდ მიმაჩნია, როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო გამოცდილების გაანალიზება, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროს თეორიული მიდგომებისა და პარადიგმების განხილვა, თანამედროვე ტენდენციების გამოკვეთა. აქედან გამომდინარე, ნაშრომში მიმოხილული იქნება კეთილდღეობის, აღდგენითი მართლმსაჯულების მოდელები და განრიდების პარადიგმა (ვაიდკუნი, 2013), ასევე, გაანალიზებული იქნება ამ სფეროში არსებული საერთაშორისო სამართლის დოკუმენტები და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ქართული მოდელი.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის მიზანს წარმოადგენს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თეორიული საფუძვლების შესწავლა, მათი გაანალიზება თანამედროვე ტენდენციების ჩამოყალიბებასთან მიმართებაში და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ქართული მოდელის განხილვა. დასახული მიზნის შესაბამისად გამოიყო შემდეგი ამოცანები:

- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თეორიული საფუძვლების საწყისების შესწავლა;
- მსოფლიოში არსებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თანამედროვე ტენდენციების გაანალიზება;
- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ადგილობრივი პრაქტიკის შესწავლა;
- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ადგილობრივი პრაქტიკის შესაბამისობის გაანალიზება თანამედროვე ტენდენციებთან მიმართებაში.

ნაშრომში გამოყენებული იქნება მეორეულ მონაცემთა ანალიზი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია საკვლევი საკითხის სიღრმისეულად შესწავლა და აქამდე არსებული პრაქტიკული გამოცდილების გაანალიზება. ასევე, მიმოხილული იქნება სახელმძღვანელოები, რომლებშიც აღწერილია მართლმსაჯულების თეორიული მიდგომები და თანამედროვე ტენდენციები, კვლევები, რომლებიც აფასებს ქართულ და საერთაშორისო პრაქტიკულ გამოცდილებას არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში და ისეთი ოფიციალური დოკუმენტები, როგორცაა კანონი და მისი ცალკეული მუხლები. წყაროები მოძიებულია, როგორც ელექტრონული, ასევე ბეჭდური სახით, სტატისტიკური მონაცემები ოფიციალურად გამოთხოვილია საქართველოს გენერალური პროკურატურიდან და იუსტიციის სამინისტროს სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრიდან“ (ამჟამად, სსიპ „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო“).

ლიტერატურის მიმოხილვა

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თეორიული საფუძვლები

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ჩარჩოს განვითარება 1980-იანი წლებიდან დაიწყო. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მოდელის ელემენტების დონეზე ჩამოყალიბებასთან ერთად ინერგებოდა საერთაშორისო სამართლის ახალი იდეები. აღნიშნული ჩარჩოს მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია უფლებებზე ორიენტირებული სტანდარტები და მიდგომები, თუ როგორ უნდა მოვექცეთ კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვან პირებს (ვაიდკუნი, 2013).

დიდი ხანი არაა, რაც სისხლის სამართლის სისტემაში ბავშვებისა და ახალგაზრდების მიმართ განსხვავებული მიდგომა დაინერგა. ადრეულ პერიოდშიც პატარა ასაკი შემამსუბუქებელ გარემოებად ითვლებოდა, თუმცა ამ საკითხის რეგულირება დაახლოებით ასიოდე წლის წინ დაიწყო. ამ სფეროში გარდამტეხი მოვლენები მე-19 საუკუნიდან იწყება, რაშიც უდიდესი წვლილი ინტელექტუალურ და საზოგადოებრივ მოძრაობებს მიუძღვით. სწორედ მათი დამსახურებით იქნა აღიარებული ბავშვობა და ახალგაზრდობა ცხოვრების განსაკუთრებულ პერიოდად. საერთაშორისო პრაქტიკული გამოცდილების გათვალისწინებით, მე-20 საუკუნეში საზოგადოებამ კიდევ უფრო მეტად გაითავისა კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვნებთან განსხვავებული მიდგომების აუცილებლობა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში დაიწყო ბავშვების საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით განცალკევებული ინსტიტუციების, სასამართლოებისა და რეგულაციების შექმნა. აღნიშნულს კი საფუძველი მოუძადა მე-19 საუკუნეში მიმდინარე პროცესებმა. აღსანიშნავია, რომ 1899 წელს ჩიკაგოში საფუძველი ჩაეყარა ახალგაზრდულ საქმეებზე პირველი სამამართლოს შექმნას, რაც იმ დროისთვის უპრეცედენტო მოვლენა იყო (ვაიდკუნი, 2013).

ისტორიული წარსულის გათვალისწინებით, დროთა განმავლობაში ყალიბდებოდა არასრულწლოვან ბრალდებულთა მიმართ მოპყრობის სხვადასხვა მოდელი, რომელიც განხილულია ამ ნაშრომში.

კეთილდღეობის მოდელი

„კეთილდღეობის მიდგომას“ საფუძველი ჩაუყარა მე-19 საუკუნეში განვითარებულმა მოვლენებმა. აღნიშნულმა მოდელმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაზე მომდევნო 70 წლის განმავლობაში. იგი ეფუძნება დოქტრინას „*parens patriae*“ და კონცეფციას, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო იღებს კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანზე პასუხისმგებლობას. ამ კონცეფციის მიხედვით, ბავშვის, როგორც „საჭიროების მქონე არსების იმიჯი შევსებულია არასრულწლოვანთა საქმეების სასამართლოს მოსამართლის, მამის ჩამნაცვლებელი „პატრიარქალური“ იმიჯით“ (ვაიდკუნი, 2013, გვ. 11). აღნიშნული მიანიშნებს, რომ ამ დოქტრინის მიხედვით, ბავშვის უმაღლეს მეურვედ სახელმწიფოა მიჩნეული.

„კეთილდღეობის მოდელის“ მიხედვით, დასჯადი ქმედება აიხსნება ინდივიდის კონტროლისაგან დამოუკიდებელი ეკონომიკური, სოციალური და სხვა ფაქტორებით (ვაიდკუნი, 2013). აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვიმსჯელოთ თუ რა არის ამ მიდგომის პრიორიტეტი და ასევე, რას ვერ ითვალისწინებს აღნიშნული მიდგომა. ინდივიდს არ ეკისრება

პასუხისმგებლობა ჩადენილი დანაშაულისათვის, შესაბამისად ბრალის საკითხიც უკანა პლანზე გადადის. საყურადღებოა, რომ ამ მოდელის მიერ კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანზე დაკისრებული სანქციები დროებითია და მისი შეწყვეტა დამოკიდებულია სწავლაში მიღწეულ შესაძლო წარმატებებზე (ვაიდკუნი, 2013).

მიმაჩნია, რომ ამ მიდგომის უპირატესობა სწორედ ინდივიდის საჭიროებებზე ორიენტირებაა. „კეთილდღეობის მოდელი“ „აცნობიერებს“ იმას, რომ დანაშაულებრივი ქმედების ჩადენაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სხვადასხვა ფაქტორი და დანაშაული მხოლოდ ბავშვის პასუხისმგებლობა არ არის. დადებითად ვაფასებ ამ მიდგომას, რადგან ყველა ადამიანს აქვს ინდივიდუალური საჭიროებები. აღნიშნული მოდელის პრიორიტეტი კი სწორედ სამართალდამრღვევის საჭიროებები, შეზღუდვები, მისდამი ადეკვატური მოპყრობა და სასჯელის ინდივიდუალიზებია. ამკარაა, რომ იგი ითვალისწინებს კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მოწყვლადობასა და დახმარების საჭიროებას. მიუხედავად ამისა, ამ მოდელის უარყოფით მხარედ გვევლინება ძირითადი პასუხისმგებლობის დაკისრება სახელმწიფოზე, რამაც შესაძლოა არასრულწლოვანს შეუქმნას დანაშაულის გაცნობიერების ბარიერი. მისი საჭიროებების გათვალისწინება აუცილებლად არ ნიშნავს სახელმწიფოს მხრიდან დანაშაულის განმეორების მაჩვენებლის შემცირებაზე სრული პასუხისმგებლობის აღებას. გასათვალისწინებელია, რომ რეალურად აქ არსებობს ორი მხარე: სახელმწიფო, რომლის პრიორიტეტიც უნდა იყოს არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესები და თავად ბრალდებული, რომელმაც უნდა გააცნობიეროს თავისი წილი პასუხისმგებლობა. საყურადღებოა, რომ ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესის აღიარებასა და გათვალისწინებაზე აქცენტს აკეთებს 1989 წელს „გაეროს“ მიერ მიღებული ხელმოსაწერად გახსნილი დოკუმენტი „ბავშვის უფლებების კონვენცია“, რომელიც ძალაში 1990 წლიდან შევიდა (გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, 2004). საქართველოში აღნიშნული დოკუმენტი 1994 წელს შევიდა ძალაში (საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, 2000). „ბავშვის უფლებების კონვენციის“ III მუხლის I პუნქტის მიხედვით: „ბავშვების მიმართ ყველა მოქმედებაში იმის მიუხედავად, მიმართავენ მას სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები, უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის საუკეთესო ინტერესების უზრუნველყოფას“ (საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, 2000).

1960-იან წლებში „კეთილდღეობის მოდელი“ კრიტიკის ობიექტად იქცა. ამ მოდელმა წამყვანი როლი „გოლტის საქმის“ (in re Gault) შემდეგ დაკარგა. ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომ არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეებზე მოითხოვა სათანადო სამართლებრივი საპროცესო უფლებების განხორციელება და განაცხადა, რომ განსასჯელის არასრულწლოვნება მის ქმედებას არ ამართლებდა. აღნიშნული კონკრეტულად გულისხმობდა იმას, რომ „კეთილდღეობის მოდელის“ მიდგომა არასრულწლოვნებისადმი ზედმეტად შემწყნარებლური იყო და რიგ შემთხვევებში ბავშვებსაც ისევე უნდა ეგოთ პასუხი დანაშაულზე, როგორც სრულწლოვნებს (ვაიდკუნი, 2013). „გოლტის საქმის“ განხილვის შემდგომ, არასრულწლოვანის უფლებების დასაცავად, ამერიკის კონსტიტუციაში შევიდა „მეთოთხმეტე შესწორება“, რომელიც შეიცავს მნიშვნელოვან კონცეფციებს სახელმწიფო ქმედებების, მოქალაქეობის, ბრალდებულების უფლებების დაცვასა და სხვა ასპექტების შესახებ, რომლებიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დასაცავად (Legal Information Institute, 1992).

„კეთილდღეობის მოდელის“ კრიტიკა განაპირობა ამ მოდელის ზედმეტად შემწყნარებლურმა მიდგომამ. კერძოდ, ლიბერალები მიუთითებდნენ, რომ განხორციელებული ინტერვენციების მიუხედავად, რეალურად არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პრაქტიკაში არსებობდა კონტროლისა და იძულების ფარული ფორმები, რაც განაპირობებდა ბრალდებულისადმი უსამართლო მოპყრობას და ზღუდავდა „სამოქალაქო კოდექსით“ მინიჭებულ უფლებებს. გასათვალისწინებელია ისიც, თუ რამდენად განისაზღვრებოდა არასრულწლოვნისათვის ადეკვატური სასჯელის ფორმა (ვაიდკუნი, 2013). შეიძლება დავასკვნათ, რომ ლიბერალების პოზიციიდან გამომდინარე, არასრულწლოვანს უნდა გაეცნობიერებინა ჩადენილი დანაშაული. ამავდროულად, სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება უნდა ყოფილიყო ბავშვის საუკეთესო ინტერესებზე მორგებული.

აღდგენითი მართლმსაჯულების მოდელი

აღდგენითი მართლმსაჯულება არის პროცესი, რომელიც ცდილობს, რომ პროცესში ჩართოს კონკრეტულ დანაშაულთან დაკავშირებული დაინტერესებული მხარეები, რომელთა მიერ ერთობლივად განისაზღვრება დაზარალებულისთვის მიყენებული ზიანი, საჭიროებები, პასუხისმგებლობა და შეძლებისდაგვარად იზრუნებენ მდგომარეობის გამოსწორებაზე (ზეჰრი, 2002). აღდგენითი მართლმსაჯულების წამყვანი მკვლევარი ჰოვარდ ზეჰრი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ აღდგენითი მართლმსაჯულების პრაქტიკაში მიდგომების არასწორი გამოყენების თავიდან აცილებისთვის საჭიროა მისი განსაზღვრება. ეს მიდგომა არ გულისხმობს არც პატიებას და არც მიტევებას (ვაიდკუნი, 2013). საქართველოს კანონის „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის“ მიხედვით, აღდგენითი მართლმსაჯულება გულისხმობს „ღონისძიებას, რომელიც კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანს საშუალებას აძლევს გააცნობიეროს ჩადენილი ქმედებისათვის საკუთარი პასუხისმგებლობა, გამოასწოროს დანაშაულის შედეგები, აანაზღაუროს ზიანი ან/და შეურიგდეს დაზარალებულს“ (საქართველოს პარლამენტი, 2015).

გასათვალისწინებელია, რომ აღდგენითი მართლმსაჯულების პროცესში არასრულწლოვნები უფროსებისგან განსხვავებულ მიდგომებსა და რეაბილიტაციას საჭიროებენ. პრაქტიკული გამოცდილების გათვალისწინებით, ბევრი მათგანი საჭიროებს თვითშეფასების ამაღლებას, რათა შეძლოს არაკანონიერ ინდივიდუალურ თუ ჯგუფურ აქტივობებში მონაწილეობაზე უარის თქმა. აღნიშნულის განსახორციელებლად, ინიციატივები შესაძლოა მოიცავდეს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნებისთვის პრაქტიკული შესაძლებლობების მიცემას (მაგალითად, მოხუცთა სასაბილოებში დახმარება). ამ პროცესში უდიდესი როლი ენიჭება არასრულწლოვნის მხარდამჭერ ქსელს. მნიშვნელოვანია, მშობელთა დახმარება, რათა ისწავლონ თუ როგორ გააკონტროლონ შვილი, რა რჩევები მისცენ და ა.შ. (სედონი, 2015). აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, როგორც ბრალდებული პირის, ასევე მისი სოციალური გარემოს გაძლიერება. ამისთვის, აღდგენითი მართლმსაჯულების ფარგლებში, საერთაშორისო მასშტაბით შემუშავებულია ფსიქო-სოციალური სასწავლო პროგრამები. ისინი ეხმარება არასრულწლოვნებს დანაშაულის გაცნობიერებაში და დანაშაულის განმეორების თავიდან არიდებაში. საყურადღებოა, რომ ეს პროგრამები აქცენტს აკეთებს ბრალდებულების მიერ საკუთარი პრობლემების გაანალიზებაზე, ახალი უნარების შეძენასა და სხვებისადმი მათი ქცევის გავლენის გაცნობიერებაზე, ასევე ისეთი სტრატეგიების შემუშავებაზე, რომელიც მათ არსებული პრობლემების გადაჭრაში დაეხმარებათ (სედონი, 2015).

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ქართული მოდელი ევროპული იუვენალური სისტემის გამოცდილებას ეფუძნება, რომელიც ამ სისტემაში განრიდება-მედიაციის პროგრამის შემოტანას გულისხმობს. ევროპული იუვენალური იუსტიციისათვის განსაკუთრებული მახასიათებელია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში აღდგენითი მართლმსაჯულების ელემენტებისა და განრიდების სისტემების დანერგვა (ჩხეიძე, 2017), რასაც მომდევნო ქვეთავებში დეტალურად განვიხილავთ.

ზეჰრი გამოყოფს აღდგენითი მართლმსაჯულების 3 ძირითად პრინციპს:

1. „დანაშაული ადამიანებს შორის ინტერპერსონალური ურთიერთობების დარღვევაა;
2. დარღვევები წარმოშობს პასუხისმგებლობებს;
3. ძირითადი პასუხისმგებლობაა დარღვევის გამოსწორება“ (ზეჰრი, 2002, გვ. 22).

მნიშვნელოვნად მიმაჩნია განვიხილოთ აღნიშნული პრინციპები და მათი შესაბამისობა აღდგენითი მართლმსაჯულების პრაქტიკასთან. პირველი პრინციპის მიხედვით, ინტერპერსონალური კომუნიკაცია ხორციელდება ერთმანეთზე დამოკიდებულ ადამიანებს შორის. ზოგჯერ ურთიერთობა თანასწორია, უფრო ხშირად კი ერთი ადამიანი მეორეზე მეტადაა დამოკიდებული (მახარაძე, 2010). ინტერპერსონალური ურთიერთობა აღდგენითი მართლმსაჯულების სფეროს განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, რადგან კომუნიკაციის გარეშე შეუძლებელია კონფლიქტის მოგვარება დაზარალებულ და ბრალდებულ მხარეებს შორის. იქიდან გამომდინარე, რომ დანაშაულის შედეგად ადამიანებს შორის ირღვევა ინტერპერსონალური ურთიერთობები, საჭიროა ჩადენილი ქმედების გაცნობიერება და ჯანსაღი კომუნიკაციის აღდგენა პრობლემის მოსაგვარებლად.

მეორე პრინციპის გათვალისწინებით, დარღვევები წარმოშობს პასუხისმგებლობებს. ამ თვალსაზრისით, საყურადღებოა, რომ „აღდგენითი მართლმსაჯულება არ არის შექმნილი სისხლის სამართლის საქმის წარმოების ჩანაცვლების მიზნით“ (სედონი, 2015, გვ. 12). აღნიშნული მოდელის გამოყენება შესაძლებელია ნაკლებად მძიმე დანაშაულის შემთხვევაში, როგორც ალტერნატიული სასჯელი. იგი დამნაშავეს პირდაპირ აკისრებს პირად პასუხისმგებლობას ჩადენილი დანაშაულის წინაშე. ეს მიდგომა საშუალებას აძლევს არასრულწლოვანს, რომ გაიაზროს საკუთარი საქციელის გავლენა დაზარალებულზე და გამოასწოროს შეცდომა. პასუხისმგებლობის გააზრებაში მნიშვნელოვანი როლი აქვს დაზარალებულსაც. კერძოდ, შესაძლებელია, რომ დაზარალებულმა მხარემ აუხსნას ბრალდებულს, თუ რა გავლენა იქონია მომხდარმა მის ცხოვრებაზე და როგორ შეიცვალა მისი ცხოვრება ამ დანაშაულის შემდეგ (სედონი, 2015).

მესამე პრინციპის მიხედვით, აღდგენითი მართლმსაჯულებისთვის მნიშვნელოვანია დარღვევის გამოსწორება. ამ მიდგომის მიხედვით, მართლმსაჯულებაში ჩართულები არიან დაზარალებული, დამნაშავე და საზოგადოების წევრები, რომლებიც უნდა ცდილობდნენ მდგომარეობის გამოსწორებას (ზეჰრი, 2002). დარღვევის გამოსწორებისთვის კი მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ზარალის ანაზღაურება, არამედ მომხდარის გაცნობიერება რეციდივის შემცირების ხელშეწყობისთვის.

საყურადღებოა, განვიხილოთ ამ მოდელის კრიტიკა. აღდგენითი მართლმსაჯულების შესახებ დებატებმა წინა პლანზე წამოწია მართლმსაჯულების რეტრიბუციულ (მიზღვევით) და აღდგენით მიდგომებს შორის არსებული განსხვავებები. აღდგენითი მართლმსაჯულების თეორეტიკოსი ბრაიტვაიტი წინააღმდეგობაში მოდის ფონ ჰირშთან და სხვა თეორეტიკოსებთან

იმ საკითხებთან დაკავშირებით, თუ რამდენად მოიცავს ეს მოდელი მიზღვევით მიდგომას და მოიცავს თუ არა იგი სასჯელს. მიუხედავად ამისა, ბრაიტვაიტი ნახულობს საერთო წერტილებს აღნიშნულ მიდგომებს შორის: „მიზღვევითი მართლმსაჯულების“ მომხრეებს აღდგენითი მართლმსაჯულების მხარდამჭერების უმეტეს ნაწილთან საერთო აქვთ მხოლოდ ის, რომ ორივე სასჯელის შემცირების მომხრეა. ისინი, ვინც ემხრობიან აღდგენით მართლმსაჯულებას, კონკრეტული სახის დანაშაულისთვის სურთ სასჯელის ზედა ზღვარის დაწესება. აქედან გამომდინარე, თავისუფლების აღკვეთა მათთვის მხოლოდ მძიმე დანაშაულის შემთხვევაშია შესაძლებელი. გასათვალისწინებელია ის ასპექტიც, რომ სასჯელის თეორია მოითხოვს პროპორციულობის შენარჩუნებით სასჯელის დაბალი ზღვრის დაწესებასაც, მაშინ, როდესაც აღდგენითი მართლმსაჯულების თეორეტიკოსები გამოსავალს პროცესში ჩართული მხარეების გადაწყვეტილებებში ეძებენ და არა სასჯელის მისჯაში. თეორიათა ჭიდილში მათი შერწყმა არ მომხდარა. აღდგენითმა მართლმსაჯულებამ დიდი ხანია დააღწია თავი რეტრიბუციული მართლმსაჯულებისა და აღდგენითი მართლმსაჯულების დაუხვეწავ შეპირისპირებას. საბოლოოდ, ამ მოდელმა გაუძლო თეორიულ და პრაქტიკულ კრიტიკას და თავი დაიმკვიდრა ისეთი კონკურენტული თეორიების გვერდით, როგორებიცაა რეტრიბუციული, სარეაბილიტაციო და სხვა სახის მიდგომები (ვაიდკუნი, 2013).

განრიდების პარადიგმა

უშუალოდ განრიდების პარადიგმის განხილვამდე, მნიშვნელოვნად მიმაჩნია არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში არსებული წინაპირობების ისტორიული მიმოხილვა.

XX საუკუნის 70-იან წლებში თითქმის ყველა სახის დანაშაულის რაოდენობის მატებას მოჰყვა სახელმწიფოების მიერ სისხლის სამართლის პოლიტიკის გამკაცრება და ამ გზით დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის დაწყება (ქუთათელაძე, 2017). აქედან გამომდინარე, სავარაუდოა, რომ აღნიშნულ ისტორიულ ეტაპზე ქვეყნები გამოსავალს არა ლიბერალურ, არამედ „ნულოვანი ტოლერანტობის“ პოლიტიკაში ხედავდნენ. სწორედ ამ საკითხზე ამახვილებს ყურადღებას თავის ნაშრომში სამართლის დოქტორი მარი ქუთათელაძე, რომელიც აანალიზებს სახელმწიფოების მიერ „ნულოვანი ტოლერანტობის ფერხულში“ ჩაბმის შედეგებს. ამ თვალსაზრისით, მსოფლიო მასშტაბით „ნულოვანი ტოლერანტობის“ ფარგლებში სახელმწიფოების მიერ გადადგმული პირველი ნაბიჯი იყო სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკის შემცირება (ქუთათელაძე, 2017). აღნიშნული ტერმინი („ნულოვანი ტოლერანტობა“) თავის თავში მოიცავს უშუალოდ დანაშაულთან ბრძოლას, რაც, ჩემი აზრით, მართლმსაჯულების პოლიტიკის არასწორი მიმართულებაა. მიმაჩნია, რომ პრობლემასთან გამკლავება უნდა მოხდეს დანაშაულის მიერ ჩადენილი დანაშაულის გაცნობიერებით, პასუხისმგებლობის აღებითა და დაზარალებულისთვის ზიანის ანაზღაურებით, რასაც ეფუძნება საქართველოში აღდგენითი მართლმსაჯულება, კერძოდ განრიდება-მედიაციის პროცესი.

„ნულოვანი ტოლერანტობა“, როგორც „პოლიციური სტრატეგია“ პირველად ამერიკის შერთებული შტატების პრაქტიკაში იქნა გამოყენებული. კერძოდ, 1994 წელს ნიუ-იორკში აღნიშნული სტრატეგია ძირითადად გამოიყენებოდა წვრილმანი დანაშაულების აღკვეთისათვის, ქალაქში წესრიგისა და კონტროლის დამყარებისთვის (ქუთათელაძე, 2017). აღნიშნული პოლიტიკის მომხრე აღმოჩნდა დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოც, რომლის პრემიერ-მინისტრმაც დევიდ კამერონმა „ნულოვანი ტოლერანტობის“ პოლიტიკის

გატარება ქუჩის კრიმინალთან საბრძოლველად სწორ მიმართულებად მიიჩნია. გასულ საუკუნეში, აღნიშნული პოლიტიკა მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანამ დანაშაულთა ბრძოლის ადეკვატურ გზად ჩათვალა. წლების შემდეგ, აღნიშნულმა პოლიტიკამ წვრილმან დანაშაულებთან მიმართებით თავისი რესურსი ამოწურა და ქვეყნებისათვის მოსალოდნელი შედეგი არ დადგა. სწორედ იმ ქვეყნებმა, რომლებიც აქტიურად უჭერდნენ მხარს „ნულოვანი ტოლერანტობის“ მიდგომებს, უარი თქვეს მასზე და გარკვეული ტიპის დანაშაულების მიმართ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების პოლიტიკის „შერბილება“ გადაწყვიტეს (ქუთათელაძე, 2017).

არასრულწლოვანთა სისხლის სამართლებრივი საქმეების სასამართლო განხილვის გარეშე გადაწყვეტილების იდეა ჩადებულია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საერთაშორისო ინსტრუმენტებში. „ბავშვის უფლებების კონვენციის“ (CRC) მონაწილე სახელმწიფოები არ არიან ვალდებული, რომ დანერგონ განრიდების პროგრამა საკუთარ ქვეყანაში, თუმცა ხელი უნდა შეუწყონ ასეთი მექანიზმების პრაქტიკაში შემოღებას (ვაიდკუნი, 2013). ამავე კონვენციის მიხედვით, ბავშვებს უნდა ჰქონდეთ უფლება მოუსმინონ მათ ნებისმიერი სამართალდამცავი და ადმინისტრაციული საქმის წარმოებისას, რომელიც მათ ეხებათ. აღნიშნული კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ კანონთან კონფლიქტში მყოფი ყველა ბავშვის უფლებას მისდამი ღირსეულად და ასაკის შესაბამისად მოპყრობის შესახებ. ნებისმიერ შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იყოს ბავშვის საუკეთესო ინტერესი (ევროპის საბჭო, 2016).

განრიდება (Diversion) გულისხმობს არასრულწლოვნის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან განთავისუფლებას, სისხლისსამართლებრივ ალტერნატიულ მექანიზმს, რომელსაც იყენებს პროკურორი. აღნიშნული მიდგომის ძირითადი მიზანია კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანს თავიდან ააცილოს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემასთან ურთიერთობა. ემპირიული კვლევების მიხედვით, განრიდების პროგრამაში ჩართული მოზარდები უფრო ნაკლებად ჩადიოდნენ დანაშაულს, ვიდრე ისინი, ვისთანაც ეს მიდგომა არ გამოიყენეს და შესაბამისად, ურთიერთობა ჰქონდათ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემასთან (შალიკაშვილი, 2013).

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტანდარტული მინიმალური წესები არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის ადმინისტრაციის შესახებ (პეკინის წესები) ხაზს უსვამს სასამართლოს გარეშე საქმეთა გადაწყვეტის სასურველობას. დოკუმენტის მიხედვით, განრიდების გამოყენება შესაძლებელი უნდა იყოს პროცესის სხვადასხვა სტადიაზე და შესაბამისი უფლებამოსილება უნდა ჰქონდეთ რელევანტურ ორგანოებს. „პეკინის წესების“ გარდა განრიდების იდეას ასევე მხარს უჭერენ, როგორც საერთაშორისო, ასევე ევროპული სამართლის ინსტრუმენტებით (ვაიდკუნი, 2013). ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია ისეთი საერთაშორისო დოკუმენტები, როგორებიცაა ბავშვის უფლებების კონვენცია (CRC), გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის შესახებ (რიადის სახელმძღვანელო პრინციპები), გაეროს წესები თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დასაცავად (ჰავანას წესები), ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (UDHR) (ჰამილტონი, 2013).

ბავშვის უფლებების კომიტეტის რეკომენდაციით, განრიდების გამოყენება შემდეგ შემთხვევებშია შესაძლებელი: არსებობს ბავშვის მიერ სავარაუდო დანაშაულის ჩადენის უტყუარი მტკიცებულება; როდესაც არასრულწლოვანი დამალების გარეშე და ნებაყოფლობით

აღიარებს პასუხისმგებლობას (ასეთი აღიარება არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს არასრულწლოვნის წინააღმდეგ); როცა ბავშვი აცხადებს წერილობით თანხმობას განრიდებაზე მას შემდეგ, რაც განემარტება განრიდების პროგრამის ფორმა, შინაარსი, პასუხისმგებლობა, ვალდებულებები, ხანგრძლივობა და პირობების შეუსრულებლობის შედეგები (ვაიდკუნი, 2013).

აღნიშნულთან ერთად, ამავე კომიტეტის რეკომენდაციით, საჭიროა ქვეყნების მიერ კანონმდებლობის გადასინჯვა, თუ რამდენად მოდის მათი სახელმწიფო დოკუმენტები ჰარმონიზაციაში განრიდების პარადიგმასთან, რამდენად აქვს ნიადაგი სახელმწიფოში ამ პროგრამის დანერგვასა და რამდენად არიან კომპეტენტური შესაბამისი უწყებების თანამშრომლები მათი მოვალეობის სამართლიანად განხორციელებისათვის. გასათვალისწინებელია, ბავშვის უფლებების კომიტეტის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები განრიდების პროცესში იურიდიული დახმარების, გასაჩივრებისა და პირადი ინფორმაციის დაცულობის უფლებაზე (ვაიდკუნი, 2013).

საერთაშორისო სამართლის დოკუმენტები

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხის განხილვისას მნიშვნელოვნად მიმაჩნია ამ სფეროში არსებული საერთაშორისო სამართლის დოკუმენტების მიმოხილვა და გაანალიზება. მსოფლიოში არსებული პრაქტიკისა და გამოცდილების გათვალისწინებით კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვებისათვის შექმნილია ისეთი დოკუმენტები, რომლებიც არეგულირებს მათ უფლებებს. კერძოდ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტანდარტული მინიმალური წესები არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის ადმინისტრაციის შესახებ („პეკინის წესები“) (საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი, 2011), „გაეროს“ წესები თავისუფლებადაკვეთილ არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ („ჰავანას წესები“), „გაეროს“ სახელმძღვანელო პრინციპები არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით („რიადის სახელმძღვანელო პრინციპები“). ასევე, მნიშვნელოვნად მიმაჩნია „გაეროს“ ბავშვის უფლებების კონვენცია (CRC), რომელშიც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პოლიტიკის ზოგადი პრინციპები მე-2, მე-3, მე-6, მე-12 მუხლებში და უფრო დეტალურად 37-ე და მე-40 მუხლებშია თავმოყრილი (საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი, 2019).

საყურადღებოა, რომ ბავშვის უფლებების კონვენციაში აღნიშნული მუხლების გათვალისწინებით, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში განხორციელებული ნებისმიერი ქმედება, პირველ რიგში, ბავშვის საუკეთესო ინტერესებს უნდა ითვალისწინებდეს. მნიშვნელოვანია ის საკითხიც, რომ ბავშვები ზრდასრული ადამიანებისგან განსხვავდებიან, როგორც ფიზიკური და ფსიქოლოგიური განვითარების დონით, ასევე საგანმანათლებლო და ემოციური საჭიროებებით. არასრულწლოვნის ჭეშმარიტი ინტერესების გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია მისი ასაკისათვის შესაბამისი ღირსეული გარემოს შექმნა. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ აღნიშნული განსხვავებები შეიძლება მივიჩნიოთ სხვა სფეროებისგან არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განცალკევების საფუძვლად (საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი, 2019). ამავე დოკუმენტის მე-2 მუხლის მიხედვით, სახელმწიფო ვალდებულია არ დაუშვას კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვთა დისკრიმინაცია და უზრუნველყონ მათდამი სამართლიანი მოპყრობა. აღნიშნული გულისხმობს, ბავშვებთან მომუშავე პროფესიონალების მომზადებას, ქვეყანაში შესაბამისი სამართლებრივი დოკუმენტების მიღებასა და პრაქტიკაში მათ ადეკვატურად აღსრულებას (საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი, 2019).

„ბავშვის უფლებების კონვენციის“ გაანალიზების შედეგად იკვეთება თანამედროვე ტენდენციები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში. კერძოდ, მსოფლიოში კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვები ერთ-ერთ მოწყვლად და მნიშვნელოვანი საჭიროებების მქონე ჯგუფად არიან მიჩნეულნი. თავად სიტყვა „მოწყვლადობა“ უკავშირდება არა სამიშროების ხარისხს, არამედ საგანგებო საჭიროებების დაკმაყოფილებას (მერდოკი, 2016). ამ ტენდენციას, შეიძლება ითქვას, რომ იზიარებს საქართველოც, რამაც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პოლიტიკის ლიბერალიზაციას შეუწყო ხელი. ის ფაქტი, რომ კანონთან კონფლიქტში მყოფ მოზარდებს სჭირდებათ სახელმწიფოს მხრიდან ადეკვატური სერვისების შეთავაზება და მომსახურების გაწევა, ეს მსოფლიო გამოცდილებიდანაც საკმაოდ ნათლად იკვეთება. აღნიშნულ კონვენციაში მკაფიოდაა ჩამოყალიბებული, რომ „არც ერთ ბავშვს არ უნდა აღეკვეთოს თავისუფლება უკანონოდ ან თვითნებურად. ბავშვის დაპატიმრება, დაკავება ან ციხეში მოთავსება ხორციელდება კანონის თანახმად და განიხილება, როგორც მხოლოდ უკიდურესი ზომა რაც შეიძლება ნაკლები პერიოდის განმავლობაში“ (მუხლი 37, პუნქტი ბ) (საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, 2000).

მნიშვნელოვნად მიმაჩნია განვიხილოთ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტანდარტული მინიმალური წესები არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის ადმინისტრაციის შესახებ („პეკინის წესები“). ამ დოკუმენტის მიხედვით, ახალგაზრდობა იმყოფება პიროვნული განვითარების ადრეულ ეტაპზე და საჭიროებს განსაკუთრებულ ზრუნვასა და დახმარებას ფიზიკური, სულიერი და სოციალური განვითარების სფეროში. ამ თვალსაზრისით, ქართული მოდელიც დროთა განმავლობაში ორიენტირდება არასრულწლოვნებზე და მათთვის მნიშვნელოვანი საჭიროებების დაკმაყოფილებაზე. „პეკინის წესების“ მიხედვით, ქვეყნებში არსებული კანონმდებლობა, პოლიტიკა და პრაქტიკა შესაძლოა საჭიროებდნენ გადასინჯვას და არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესებზე ორიენტირებას (საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი, 2019). მიმაჩნია, რომ საყურადღებოა აღნიშნული დოკუმენტის მე-5 წესი, რომლის თანახმად, „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა ანიჭებდეს არასრულწლოვანთა კეთილდღეობას და უნდა უზრუნველყოს, რომ არასრულწლოვანი სამართალდამრღვევის მიმართ გამოყენებული ნებისმიერი ღონისძიება ყოველთვის იყოს სამართალდამრღვევის და სამართალდარღვევის თანაზომიერი“ (საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი, 2019).

აღნიშნულ დოკუმენტებთან ერთად საყურადღებოა „ჰავანას წესები“, რომელიც საერთაშორისო საზოგადოების მიერ მიჩნეულია თავისუფლებადაკვეთილ არასრულწლოვანთა დაცვის მინიმალურ სტანდარტად. მისი ფუნდამენტური წესის თანახმად, არასრულწლოვანთა თავისუფლების აღკვეთა მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში უნდა განხორციელდეს (I, წესი 2). ამ ღონისძიების აუცილებლობისას კი თავისუფლების აღკვეთის სიმძიმე და ხანგრძლივობა უნდა იყოს მინიმალური (საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი, 2019). აღსანიშნავია, რომ ამ მნიშვნელოვან პრინციპზე „პეკინის წესებიც“ ამახვილებს ყურადღებას.

„ჰავანას წესები“ შეეხება არასრულწლოვნის თავისუფლების ნებისმიერი ფორმით შეზღუდვას, რაც გულისხმობს „დაკავების ან დაპატიმრების ნებისმიერ ფორმას სასამართლო, ადმინისტრაციული ან სხვა საჯარო ორგანოს ბრძანების საფუძველზე, პირის მოთავსებას კერძო ან საჯარო საპატიმრო დაწესებულებაში, რომლის საკუთარი სურვილით დატოვების უფლებაც

პირს არ გააჩნია (II წესი, 11 (ბ))“ (საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი, 2019, გვ. 11).

საერთაშორისო დოკუმენტი „გაეროს წესები თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ ხუთი ნაწილისგან შედგება: „არსებითი პერსპექტივები, წესების გამოყენება და ფარგლები; პატიმრობაში ან წინასწარ პატიმრობაში მყოფი არასრულწლოვნები; არასრულწლოვანთა საპატიმრო დაწესებულებების მართვა; პერსონალი“ (საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი, 2019, გვ. 11). მიმაჩნია, რომ ამ დოკუმენტში არსებული წესების შესრულება მნიშვნელოვან დადებით გავლენას მოახდენს სახელმწიფოებში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის განვითარებაზე. ამას ადასტურებს ბავშვის უფლებების კომიტეტის კომენტარი N10, რომლის მიხედვითაც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა უნდა აკმაყოფილებდეს იმ სტანდარტებს, რომელთა შესახებაც „ჰავანას წესებშია“ საუბარი (საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი, 2019). გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამ დოკუმენტის მიხედვით, პირობები, რომლებშიც იმყოფება გაუსამართლებელი არასრულწლოვანი, უნდა შეესაბამებოდეს „ჰავანას წესებს“ და უდანაშაულობის პრეზუმციას. აქედან გამომდინარე, გაეროს აღნიშნულ მინიმალურ წესებში გათვალისწინებულია რიგი გარკვეული მოთხოვნები. მაგალითად, „იურიდიული კონსულტაციის მიღებისა და უფასო იურიდიული დახმარების მოთხოვნის უფლება, თუ ასეთი დახმარება ხელმისაწვდომია, ასევე საკუთარ ადვოკატებთან რეგულარული კომუნიკაციის უფლება. ასეთი კომუნიკაციისას უზრუნველყოფილი უნდა იქნეს პირადი საიდუმლოებისა და კონფიდენციალურობის დაცვა“ (ჰამილტონი , 2013, გვ. 79). ტენდენციების თვალსაზრისით, ამ დოკუმენტში ნათლად იკვეთება, თუ რა მნიშვნელობა აქვს კანონთან კონფლიქტში მყოფი მოზარდის უფლებების დაცვას, მის მიმართ ღირსეულ მოპყრობასა და კონფიდენციალობის დაცვის პრინციპს.

საყურადღებოა, გაეროს მიერ შემუშავებული „რიადის სახელმძღვანელო პრინციპები“, რომელიც ხაზს უსვამს დელიქვენტობის პროგრესულად პრევენციის პოლიტიკის მნიშვნელობას. ამ პოლიტიკის მთავარი მიზანია არასრულწლოვანი არ დასაჯოს იმ ქვევისათვის, რომელიც მნიშვნელოვნად არ აზიანებს სხვების კეთილდღეობასა და განვითარებას (საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი, 2019). აღნიშნული დოკუმენტი შედგება ექვსი ნაწილისაგან: „ძირითადი პრინციპები; სახელმძღვანელო პრინციპები; ზოგადი აღკვეთა; სოციალიზაციის პროცესი; სოციალური პოლიტიკა; კანონმდებლობა და არასრულწლოვნებთან დაკავშირებული მართლმსაჯულების განხორციელება“ (საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი, 2019, გვ. 11). საყურადღებოა, რომ „რიადის სახელმძღვანელო პრინციპებში“ განსაკუთრებული აქცენტი გაკეთებულია არასრულწლოვანთა სოციალიზაციის პროცესზე და ქვეყანაში არსებულ სოციალურ პოლიტიკაზე, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს მოზარდის განვითარებას.

„რიადის სახელმძღვანელო პრინციპების“ მიხედვით, აქცენტი უნდა გაკეთდეს პრევენციის პოლიტიკაზე, რომელიც ხელს შეუწყობს არასრულწლოვნების წარმატებულ სოციალიზაციასა და ინტეგრაციას. ეს დოკუმენტი მნიშვნელოვან აქცენტს აკეთებს ოჯახის, საზოგადოების, თანატოლთა ჯგუფების, სკოლების, პროფესიული მომზადების ცენტრებისა და სამსახურის როლზე ბავშვთა სოციალიზაციის პროცესში. ასევე, გასათვალისწინებელია, დაუცველი ოჯახების მხარდაჭერა და სკოლების მიერ ბავშვებისათვის ფასეულობებისა და ღირებულებების

სწავლება, რაც პრევენციული პოლიტიკის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. მაგალითად, ოჯახების დამხმარე ღონისძიებები ორიენტირებული უნდა იყოს არა მხოლოდ უარყოფითი სიტუაციების პრევენციაზე, არამედ მშობლების სოციალური პოტენციალის გაღრმავებაზეც (ჰამილტონი, 2013).

ამრიგად, ზემოთ განხილული საერთაშორისო სამართლის დოკუმენტები, განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაზე და ორიენტირებულები არიან ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესების დაცვაზე, რომლის მიღწევაც პრაქტიკაში რიგ სისტემურ და უწყებათაშორის თანამშრომლობაში არსებულ სირთულეებთან არის დაკავშირებული.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ქართული მოდელი

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიხედვით, არასრულწლოვანი არის „18 წლამდე ასაკის არასრულწლოვანი დაზარალებული, არასრულწლოვანი მოწმე, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის მიზნებისათვის არასრულწლოვანად ითვლება პირი, რომელსაც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის მომენტისათვის შეუსრულდა 16 წელი, მაგრამ არ შესრულებია 18 წელი, ხოლო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მიზნებისათვის – პირი, რომელსაც დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის შეუსრულდა 14 წელი, მაგრამ არ შესრულებია 18 წელი“ (საქართველოს პარლამენტი, 2015).

საქართველოში 2010 წელს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შევიდა ცვლილება, რასაც მოჰყვა არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის მექანიზმის დანერგვა პრაქტიკაში. აღნიშნული პროგრამა 2010 წელს ამოქმედდა და 2013 წელს მთლიანად საქართველოს მასშტაბი მოიცვა. განრიდება-მედიაციის პროგრამა არასრულწლოვანს აძლევს შანსს, რომ გარკვეული პირობების შესრულების სანაცვლოდ ცხოვრება განაგრძოს ნასამართლეობისა და სასჯელის გარეშე. ეს მიდგომა ეყრდნობა ალდგენითი მართლმსაჯულების კონცეფციას, რომელიც ორიენტირებულია მოზარდთა საუკეთესო ინტერესებზე.

საქართველოში ამ პროგრამის გამოყენების წინაპირობები შემდეგ გარემოებებზე დაყრდნობითაა განსაზღვრული:

- „ჩადენილია ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაული ე.ი. ისეთი დანაშაული, რომლისთვისაც გათვალისწინებული სასჯელი არ აღემატება 10 წლით თავისუფლების აღკვეთას;
- არასრულწლოვანი არ არის ნასამართლევი;
- არასრულწლოვანს ადრე არ აქვს მონაწილეობა მიღებული განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში;
- არასრულწლოვანი აღიარებს დანაშაულს;
- პროკურორის შინაგანი რწმენით და არასრულწლოვნის ჭეშმარიტი ინტერესების გათვალისწინებით არ არსებობს მისი სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაში მიცემის საჯარო ინტერესი“ (დანაშაულის პრევენციის ცენტრი, 2014).

აღნიშნული პროგრამებიდან ჩემი ნაშრომის განხილვის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პრაქტიკაში განრიდება-მედიაციის პროგრამის გაანალიზება. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, განრიდება არის „არასრულწლოვნის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების ფორმა,

სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმი, რომელსაც იყენებს პროკურორი“ (საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, 2010). მედიაცია გულისხმობს „არასრულწლოვანსა და დაზარალებულს შორის დიალოგის პროცესს, რომელსაც უძღვება მედიატორი და რომლის მიზანია არასრულწლოვნისა და დაზარალებულის შერიგება და მათ შორის კონფლიქტის გადაწყვეტა. მედიაციის პროცესში აგრეთვე მონაწილეობენ არასრულწლოვნის კანონიერი წარმომადგენელი, პროკურორი, სოციალური მუშაკი და განსაკუთრებულ შემთხვევაში სხვა პირები“ (საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, 2010).

განრიდება-მედიაცია აღდგენითი მართლმსაჯულების ნაწილია, რომლის მიზანია მოზარდმა გააცნობიეროს ჩადენილი დანაშაული, აიღოს მასზე პასუხისმგებლობა და შეძლოს საზოგადოებაში რეინტეგრაცია. ამ პროცესით „მოგებულის“ დამნაშავე, დაზარალებული და სოციუმი (შალიკაშვილი, 2013). ამ მიდგომის მნიშვნელოვანი მხარე ისაა, რომ იგი ეხმარება არასრულწლოვანს საკუთარი დანაშაულის გაცნობიერებაში და თავის თავზე პასუხისმგებლობის აღებაში. აღნიშნულის გარდა, ასევე, ყურადღება ეთმობა დაზარალებულისთვის ზიანის ანაზღაურებასა და საბოლოოდ, დამნაშავეს საზოგადოებაში რეინტეგრაციას. გასათვალისწინებელია ისიც, რომ განრიდება-მედიაცია ქვეყნების ლიბერალური სისხლის სამართლის პოლიტიკის ნაწილია (შალიკაშვილი, 2013).

სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრის“ მიერ მოწოდებული ინფორმაციითა და მორის შალიკაშვილის სამეცნიერო ნაშრომის სტატისტიკური ნაწილის გაანალიზების შედეგად, ოფიციალური მონაცემების მიხედვით, განრიდება-მედიაციის პროგრამაში 2010 წლიდან 2018 წლის ჩათვლით 2632 პირი ჩაერთო. 2010-2015 წლებში დანაშაულის განმეორების მაჩვენებელი განრიდება/განრიდება-მედიაციის პროგრამაში ჩართულ კანონთან კონფლიქტში მყოფ პირთა მხოლოდ 4%-ში (N=37) დაფიქსირდა (შალიკაშვილი, 2016). ჩემ მიერ იუსტიციის სამინისტროს სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრიდან“ და საქართველოს გენერალური პროკურატურიდან გამოთხოვილი სტატისტიკის მიხედვით:

ცხრილი N 1

საქართველოში განრიდების პროგრამაში ჩართულ პირთა სტატისტიკა 2014-2018 წლებში

წლები	2014	2015	2016	2017	2018
განრიდება	204	297	784	912	897

წყარო: სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრი“

საქართველოს პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, საქართველოს მასშტაბით კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა განრიდების შესახებ, მონაცემები შემდეგნაირად გამოიყურება:

ცხრილი N 2

2014-2015 წლებში განრიდებულ არასრულწლოვანთა სტატისტიკა

წლები	2014	2015	2016	2017	2018
განრიდება	203	297	462	475	497

ხელშეკრულების პირობების დარღვევა		7	18	36	38
განმეორებითი დანაშაული		5	5	13	8
დაკისრებული მოვალეობების შეუსრულებლობა		2	13	23	30

წყარო: საქართველოს გენერალური პროკურატურა

საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ მოწოდებულ სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ განრიდების მოდელი საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პრაქტიკაში მუშაობს, თუმცა, მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ განრიდების პროცესში არსებულ სარეაბილიტაციო პროგრამათა ეფექტურობა, რომელიც ცალკე კვლევის საგნად შეგვიძლია მივიჩნიოთ.

ადგილობრივი კანონმდებლობის თანახმად, განრიდების ან/და განრიდებისა და მედიაციის ხელშეკრულების მაქსიმალური ხანგრძლივობაა 1 წელი. ხელშეკრულებების ხანგრძლივობა, როგორც 14-დან 18 წლამდე, ისე 18-დან 21 წლამდე პირებთან დაკავშირებით უმეტეს შემთხვევაში არის 3-4 თვე. თუმცა ხშირია 2 თვიანი ხელშეკრულებებიც, იყო ერთთვიანი ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევებიც (ქელბაქიანი, 2018).

აღნიშნული საკითხის განხილვისას მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ სერვისები, რომლებიც არსებობს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნებისათვის. 2018 წლის კვლევის მიხედვით, არსებული პრაქტიკის გაუმჯობესებისთვის არსებული სერვისები საჭიროებს მრავალფეროვნებასა და რაოდენობის გაზრდას. ამავე კვლევის მიხედვით, სოციალური მუშაკები აღნიშნავენ, რომ ზოგჯერ მხოლოდ სოციალური მუშაკი უტარებს არასრულწლოვანს სარეაბილიტაციო მოდულებს, გარე სერვისების რაოდენობა კი მწირია და სრულად ვერ დაფარავს კანონთან კონფლიქტში მყოფ მოზარდთა საჭიროებებს (ქელბაქიანი, 2018).

განრიდების პარადიგმის ისტორიული წინაპირობები - „ნულოვანი ტოლერანტობის“ პოლიტიკა და პრაქტიკა საქართველოში

საქართველოში 2006 წლიდან დაიწყო კრიმინალის მიმართ „ნულოვანი ტოლერანტობის“ პოლიტიკის განხორციელება. კერძოდ, ყველა ტიპის დანაშაულს სახელმწიფოს მხრიდან უნდა მოყოლოდა მყისიერი და მკაცრი რეაქცია. იმ პერიოდში, იუსტიციის სამინისტრო ასე აღწერდა განსახორციელებელ პოლიტიკას: „ნულოვანი ტოლერანტობის მიზანია არ დატოვოს არც ერთი დანაშაული, თუნდაც წვრილმანი, რეაგირების გარეშე და ამ გზით მინიმუმამდე დაიყვანოს ქვეყანაში დანაშაულის დონე. შეცვალოს საზოგადოების დამოკიდებულება დანაშაულის მიმართ და აღმოფხვრას დაუსჯელობის სინდრომი. ნულოვანი ტოლერანტობის შედეგად საქართველო გათავისუფლდა, როგორც ორგანიზებული, ისე წვრილმანი დანაშაულისაგან და გახდა ერთ-ერთი ყველაზე უსაფრთხო ქვეყანა“ (შალიკაშვილი, 2013, გვ. 24).

საქართველოში „ნულოვანი ტოლერანტობის“ პოლიტიკის განხორციელებას საზღვარგარეთის გამოცდილების მსგავსად მოჰყვა, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი შედეგები. კერძოდ, შალიკაშვილის „არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტების“ მიხედვით, აღნიშნული პოლიტიკის დადებით შედეგებად შეგვიძლია მივიჩნიოთ:

- „საბჭოთა კავშირის სისტემიდან მემკვიდრეობით მიღებული დაუსჯელობის სინდრომის აღმოფხვრა;
- მოსახლეობაში დანაშაულის მიმართ უსაფრთხოების შეგრძნების გაჩენა.
- ორგანიზებული და კორუფციული დანაშაულის შემცირება” (შალიკაშვილი, 2013, გვ. 24).

„ნულოვანი ტოლერანტობის“ პოლიტიკის განხორციელების უარყოფითი შედეგები მკვეთრად აღემატება და აჭარბებს დადებით შედეგებს. კერძოდ:

- „მსჯავრდებულთა რაოდენობის მკვეთრი ზრდა. ბოლო ხუთი-ექვსი წლის განმავლობაში 100-120%-ით მოიმატა მსჯავრდებულთა რაოდენობამ სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში. მსჯავრდებულთა რაოდენობის კატასტროფულმა ზრდამ, გადატვირთულობამ, თავის მხრივ, გამოიწვია შემდეგი უარყოფითი შედეგები:
- ციხის პირობების გაუარესება;
- მსჯავრდებულთა სიკვდილიანობის ზრდა;
- მსჯავრდებულთა (ფიზიკური და სულიერი) ჯანმრთელობის პრობლემების გაუარესება;
- მსჯავრდებულთა უფლებების სისტემატური დარღვევა და ა.შ.“ (შალიკაშვილი, 2013, გვ. 26).

კანონთან კონფლიქტში მყოფი პირებისადმი, განსაკუთრებით კი არასრულწლოვნებისადმი „ნულოვანი ტოლერანტობის“ პოლიტიკა შესაძლოა, ერთი მხრივ, ამცირებდა დანაშაულთა რიცხოვნობას, მაგრამ ეს არ მიანიშნებს აუცილებლად საზოგადოების მხრიდან დანაშაულის ჩადენის გაცნობიერებასა და საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრებაზე. დასაშვებია, რომ თუნდაც არასრულწლოვნების მიერ დანაშაულის შემცირება იმ პერიოდში გამოწვეული ყოფილიყო შიშისა და დასჯის მოლოდინით და არა დანაშაულის გაცნობიერებით.

საქართველოს პოლიტიკის ცვლილება - „ნულოვანი ტოლერანტობიდან“ ლიბერალურ კრიმინალურ პოლიტიკამდე

„ნულოვანი პოლიტიკის“ განხორციელების შედეგად მიღებული შედეგების გათვალისწინებით მნიშვნელოვანი გახდა ამ მიდგომის ლიბერალური კრიმინალური პოლიტიკით ჩანაცვლება.

საქართველოში ლიბერალური პოლიტიკის განხორციელებად შეგვიძლია ჩავთვალოთ 2012 წლიდან შექმნილი და განხორციელებული შემდეგი საკანონმდებლო ცვლილებები და პროგრამები:

- „არასრულწლოვანთა განრიდება და მედიაცია;
- სრულწლოვანთა განრიდება;
- განრიდება დანის ტარებისათვის;
- ალტერნატიული სასჯელის სახით საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის შედარებით ხშირი გამოყენება პრაქტიკაში;

- სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის (ისევ) გაუქმება 12-დან 14 წლამდე არასრულწლოვნებისთვის“ (შალიკაშვილი, 2013, გვ. 26).

ლიბერალურ კრიმინალურ პოლიტიკაზე გადასვლით საქართველომ აქცენტი გააკეთა არასრულწლოვანთა რესოციალიზაციაზე, დაზარალებული მხარისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე.

საყურადღებოა, რომ ლიბერალური პოლიტიკის განვითარებას კანონდებლობის დონეზე ხელს უწყობს საქართველოს 2015 წლის კანონი „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი“, რომლის ერთ-ერთ პრიორიტეტს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვა წარმოადგენს. არსებულ კანონმდებლობაში არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი შემდეგნაირადაა განმარტებული: „არასრულწლოვნის უსაფრთხოების, კეთილდღეობის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, განვითარების, რესოციალიზაცია-რეაბილიტაციისა და სხვა ინტერესები, რომლებიც საერთაშორისო სტანდარტებისა და არასრულწლოვნის ინდივიდუალური მახასიათებლების შესაბამისად, აგრეთვე მისი აზრის გათვალისწინებით განისაზღვრება“ (საქართველოს პარლამენტი, 2015). ლიბერალური პოლიტიკის გათვალისწინებით, საქართველოში სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში შესაძლებელია დაზარალებულთან დამნაშავის შერიგება ბოდიშის მოხდით, მიყენებული ზიანის ანაზღაურებით ან არასრულწლოვნის მშობლებისათვის „გადაცემით“ საპროცესო ნორმების სიმკაცრის გარეშე. სავარაუდოა, რომ ასეთი მიდგომა ხელს უწყობს არასრულწლოვანთა პასუხისმგებლობის ამალგებასა და ჩადენილი დანაშაულის გაცნობიერებას, თუმცა თავისთავად ეს არ გულისხმობს ყოველგვარი პასუხისმგებლობის გარეშე არსებული საქმის დასრულებას. ამ მიდგომის დადებით მხარეს წარმოადგენს ის, რომ იგი ხელს უწყობს კრიმინალური სამყაროსკენ სწრაფვის თავიდან აცილებასა და რეციდივის შემცირებას. აღნიშნულთან ერთად, ასევე მნიშვნელოვანია მოზარდის პიროვნების სოციალიზაცია (შალიკაშვილი, 2013).

დასკვნა

ისტორიული მიმოხილვის გაანალიზების შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების პრაქტიკა მისწრაფვის ლიბერალური კანონმდებლობისა და პრაქტიკის დანერგვისაკენ, რაც დადებითად შეგვიძლია შევაფასოთ. ამის საფუძველს იძლევა საერთაშორისო პრაქტიკაში ჩატარებული ემპირიული კვლევები, რომლის მიხედვითაც, განრიდების პროგრამაში ჩართული მოზარდები უფრო ნაკლებად ჩადიოდნენ დანაშაულს, ვიდრე ისინი, ვისთანაც ეს მიდგომა არ გამოიყენეს და შესაბამისად, ურთიერთობა ჰქონდათ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემასთან (შალიკაშვილი, 2013). მსოფლიო პრაქტიკის გათვალისწინებით, სახელმწიფოები აცნობიერებენ, რომ საჭიროა არა დანაშაულთან ბრძოლა, არამედ იმ გარემოებების გააზრება და შეცვლა, რომლებიც მუდმივად გავლენას ახდენენ მოზარდთა ქცევაზე.

ამკარაა, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში მნიშვნელოვანია, როგორც დაზარალებულის, ასევე დამნაშავის, საზოგადოებისა და მთლიანად სახელმწიფოს ჩართვა არსებული პრობლემების მოგვარებაში. აქედან გამომდინარე, ამ გამოკვეთილ ტენდენციას შესაძლოა „გააზრების ტენდენციაც“ ვუწოდოთ, რაც სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში არსებული ბარიერების აღმოფხვრისთვის მნიშვნელოვან ნაბიჯად შეგვიძლია ჩავთვალოთ. თანამედროვე ტენდენციები იკვეთება საერთაშორისო სამართლის იმ დოკუმენტებში, რომლებიც

ნაშრომშია განხილული. ისინი ორიენტირებულია კანონთან კონფლიქტში მყოფი მოზარდების ჭეშმარიტ ინტერესებზე.

რაც შეეხება, საერთაშორისო სამართლის დოკუმენტების შესწავლის შედეგად უშუალოდ გამოკვეთილ თანამედროვე ტენდენციებს, ისინი შემდეგნაირად შეიძლება შევაჯამოთ: არასრულწლოვნის დაკავებისა და ციხეში გადაყვანის გადაწყვეტილება მიჩნეულია სასჯელის უკიდურეს ზომად, სასჯელი უნდა იყოს დანაშაულისა და არასრულწლოვნის საჭიროებების გათვალისწინებით ადეკვატურად მიღებული, მნიშვნელოვანია, ნებისმიერი უწყების მხრიდან მოზარდისადმი სამართლიანი მოპყრობა, მისი უფლებების პატივისცემა და დისკრიმინაციისგან დაცვა, ასაკისათვის შესაბამისი ღირსეული გარემოს შექმნა, მოზარდის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება. ასევე, საჭიროა აქტიური პრევენციული ღონისძიებების გატარება, რომელზეც განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს „რიადის სახელმძღვანელო პრინციპები“ (საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი, 2019). აღნიშნული თანამედროვე ტენდენციების პარალელურად, საყურადღებოა, რომ საქართველოს მიერ ევროპული იუვენალური სისტემის გამოცდილების გაზიარება დადებითად აისახა კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა ცხოვრებაზე. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ქართული მოდელი დროთა განმავლობაში ავითარებს პრაქტიკულ მიდგომებს კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვნებთან მიმართებით, რომელთა საუკეთესო ინტერესის დაცვის ვალდებულება საქართველოს სხვა სამართლებრივ დოკუმენტებთან ერთად გაეროს ბავშვის უფლებების კონვენციის (CRC) მიღებით აქვს აღებული.

მსოფლიოში არსებული „წულოვანი ტოლერანტობის“ პრაქტიკამ ცხადყო, რომ საზოგადოებაში შიშისა და დასჯის სინდრომის გაჩენას არ მოაქვს სასურველი შედეგი, რაშიც დამნაშავეს მიერ დანაშაულის გააზრება იგულისხმება. ამგვარი მიდგომა მსოფლიო პრაქტიკის გათვალისწინებით „გააზრებულ შედეგს“ ვერ მოიტანს, რაც საქართველოს მაგალითზეც 2006 წლიდან 2010 წლამდე დამტკიცდა. შესაბამისად, გამოიკვეთა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში დამნაშავეს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისა და გააზრების, მისი საჭიროებების დაკმაყოფილების, ვალდებულებებისა და თემის ჩართულობის მნიშვნელობა.

ადგილობრივი კანონმდებლობა და პრაქტიკა დროთა განმავლობაში აყალიბებს სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში არასრულწლოვნებისადმი შესაბამის მიდგომებს მსოფლიო გამოცდილების გათვალისწინებით, რისი მაგალითიცაა საქართველოში განრიდება-მედიაციის მექანიზმის დანერგვა. მსოფლიო პრაქტიკის ამ მიდგომის გაზიარებამ საქართველოში კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვნებს მისცა შანსი, რომ გარკვეული პირობების სანაცვლოდ მათ ცხოვრება გააგრძელონ ნასამართლეობისა და სასჯელის მოხდის გარეშე (დანაშაულის პრევენციის ცენტრი, 2014), რაც, ჩემი აზრით, მნიშვნელოვანი მიღწევაა. საყურადღებოა, რომ განრიდების პარადიგმა აღდგენითი მართლმსაჯულების ნაწილია, რომელიც ორიენტირებულია მოზარდთა საუკეთესო ინტერესებზე.

რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია ის ფაქტორები, რომლებიც ხელს უშლის საქართველოში აღდგენითი მართლმსაჯულების ფარგლებში დანერგილი პროგრამების ეფექტურობას, დანაშაულის განმეორების შემცირებასა და არასრულწლოვანთა საჭიროებების მაქსიმალურად დაკმაყოფილების ხელშეწყობას: მომსახურებების სიმწირე, სერვისები, რომლებიც საჭიროებს მრავალფეროვნებასა და სათანადო კვალიფიკაციის, რაოდენობის მქონე სპეციალისტებს. აქედან გამომდინარე, არსებული თეორიული საფუძვლებისა და მსოფლიო პრაქტიკის გათვალისწინებით, საჭიროდ ვთვლი შესაბამისი რაოდენობის კვალიფიციური

პროფესიონალების მიერ არასრულწლოვანთათვის არსებული მოდულების სისტემატურ გადახედვას, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის მუდმივ ზედამხედველობასა და ჩატარებული კვლევების რეკომენდაციების პრაქტიკაში გათვალისწინებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვნად მიმაჩნია, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში, ქართულ მოდელში მიღწეული შედეგების გაუმჯობესება, განვითარება და კანონთან კონფლიქტში მყოფ მოზარდებზე მორგებული მართლმსაჯულების შექმნა.

გამოყენებული ლიტერატურა

არსოშვილი, გ. (2015). Retrieved from <https://cdn.penalreform.org/wp-content/uploads/2016/03/Probation-Law-Manual-WEB.pdf>

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. (2004, დეკემბერი 8). www.ohchr.org. Retrieved from <https://www.ohchr.org/en/professionalinterest/pages/crc.aspx>

დანაშაულის პრევენციის ცენტრი. (2014). Retrieved from <http://prevention.gov.ge/page/28/geo>

ვაიდკუნი. (2013). *მართლმსაჯულება ბავშვებისათვის*. თბილისი: გაეროს ბავშვთა ფონდი.

ზეჰრი, ჰ. (2002). Retrieved from <https://www.unicef.org/tdad/littlebookrjpakaf.pdf>

მახარაძე, ს. (2010). Retrieved from <https://elibrary.emis.ge/uploads/other/160.pdf>

მერდოკი. (2016, აპრილი). Retrieved from <https://rm.coe.int/16806c983c>

რაქვიაშვილი. (2018). www.openscience.ge. Retrieved from <https://openscience.ge/bitstream/1/64/1/Zelimkhan%20Rakviashvili.pdf>

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. (2010, ნოემბერი 12). Retrieved from <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1092540?publication=0>

საქართველოს პარლამენტი. (2015, ივნისი 12). Retrieved from <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2877281?publication=12>

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება. (2012, მარტი 22). Retrieved from <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1617344?publication=0>

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. (2000, მაისი 25). Retrieved from <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1399901?publication=0>

საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი. (2019, მარტი 11). <http://phf.org.ge/ka/publications/>. Retrieved from <http://phf.org.ge/uploads/publications/5c861293048a1.pdf>

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი. (2011). Retrieved from http://sps.gov.ge/images/files/pdf/text_14182885782.pdf

- სედონი, მ. (2015). Retrieved from https://cdn.penalreform.org/wp-content/uploads/2016/05/Synthesis-research_non-custodial-sanctions-in-the-South-Caucasus_Geo.pdf
- ქელბაქიანი, ც. (2018). Retrieved from <https://www.rivg.ge/media/1001537/2018/03/29/1d0bec3a0ff6d444d0b3f713021a103a.pdf>
- ქუთათელაძე, მ. (2017). Retrieved from <https://sdasu.edu.ge/media/1001542/2017/12/20/28062f3bb2d78ba94c4cd9a60f305075.pdf>
- შალიკაშვილი. (2013). Retrieved from <http://www.ncadr.tsu.ge/admin/upload/5030m.shalikashvili.pdf>
- შალიკაშვილი. (2016). *www.tsu.ge* . Retrieved from https://tsu.ge/data/file_db/faculty-law-public/arasrulw-martl-II.pdf
- ჩხეიძე, ი. (2017). Retrieved from <https://atsu.edu.ge/EJournal/BLSS/eJournal/Papers/Chkheidzela.pdf>
- ჰამილტონი . (2013). Retrieved from <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/arasrw.martl4.pdf>
- Legal Information Institute. (1992). Retrieved from https://www.law.cornell.edu/wex/fourteenth_amendment_0
- United State Courts. (1967). Retrieved from <https://www.uscourts.gov/educational-resources/educational-activities/facts-and-case-summary-re-gault>